ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 26 აგვისტო, 2020 №180 (8444) ფასი: 60 თეთრი

„მამამ შვილი მხოლოდ წარბებით იცნო. მშობლებმა არ იციან, მიცვალებულს მიხედონ თუ ცოცხალს“

გვ.5

„ივანიშვილი გახარიას შავ სამუშაოს შეასრულებინებს და მოიშორებს“

გია ხუხაშვილი: „ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი ბექა ოდიშარია ნაციონალებს ფულს ურიცხავდა“

გვ.2

ელენე ხოშტარიამ „პატრიოტთა ალიანსს“ პროკურატურაში უჩივლა



გვ.2

„ალიანსს“ რუსეთიდან ავალებენ საქართველოში შუღლის გაღვივებას და ამაში დიდ ფულს უხდიან“

„ავტომობილების ტექდათვალიერება კორუფციის წყაროა“

გვ.3

გიორგი გუგავა: „ქვეყანაში კატასტროფული სიტუაციაა. ყოველწლიურად ავტოავარიით 600 ადამიანი იღუპება“

მამუკა გვაძაბია: „პატრიოტთა ალიანსი“ რუსეთის საყრდენი ძალაა“



გვ.4



გვ.3

„მოსახლეობის 98% მდგმურივითაა, 2%-ს აქვს ყველაფერი“

გედი ფოფხაძე: „ჩემი, როგორც პოლიტიკოსის ამოცანაა, ჩაგრული ხალხი მჩაგვრელების წინააღმდეგ გაერთიანდეს“

გვ.4

გიგა ბუკია: „პარტიებმა ამომრჩეველს მკაფიო განმარტებები უნდა მისცენ“

„ამომრჩეველთა სიები დაიხვეწა“

ISSN 1987-9385

5 „დეა კაპანაძეს ინფორმაცია აქვს და მალავს“ რას აცხადებს თეონა თამაზაშვილი

3 შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

5 „საშინელი კაცი იყო, ბიჭი გამოკეტილი ჰყავდა, გოგოებზეც ძალადობდა“ რა მოხდა თერჯოლაში

6 ლუკაშენკოს რეპრესიები დაიწყო

„ივანიშვილი გახარიას შავ სამუშაოს შეასრულებინებს და მოიშორებს“

გია ხუხაშვილი: „ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი ბექა ოდიშარია ნაციონალებს ფულს ურიცხავდა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი გია ხუხაშვილი პასუხობს.

– ბატონო გია, როგორ აფასებთ ქვეყანაში განვითარებულ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? თქვენს ბოლო ფეისბუქპოსტს დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა, სადაც ამბობთ, რომ „ოცნების“ მაჟორიტარები ნაციონალებთან ფარულ მოლაპარაკებებს აწარმოებენ. მაჟორიტარების თემა ყოველთვის პრობლემატური იყო, მუდამ ერთი და იგივე სახეები. ამის თქმა გინდოდათ?

– ჩვენ საერთოდ პოლიტიკური ელიტის პრობლემა გვაქვს. გარკვეულწილად, ჩემი მხრიდან ეს იყო ხუმრობა, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენთან ეს მაჟორიტარული მანკიერება გრძელდება. ჩვენ გვყავს დეპუტატობის მაჟორიტარი კანდიდატები, რომლებიც პარტიიდან პარტიაში გადადიან და, შესაბამისად, მე ასეთი ტრაგიკომიკური, სახუმარო ინფორმაცია დავწერე.

„ოპოზიციის მხრიდან მაჟორიტარული არჩევნებისადმი ამხელა ყურადღება ძალიან სასაცილოა“

– შესაძლოა, თქვენ იხუმრეთ, მაგრამ „ოცნების“ ბევრი მაჟორიტარობის კანდიდატი შეშინდებოდა.

– იცით, რატომ? იმიტომ, რომ მართლა ასეთები არიან. მათ მართლა შეუძლიათ ამის გაკეთება და ეს არაერთხელ გაუკეთებიათ. ამ სიაში ძალიან ბევრი ადამიანია, რომლებიც არანაირი პრინციპების მატარებელნი არ არიან. მათი მთელი ამოცანა ის არის, რომ აღმოჩნდნენ ხელისუფლებაში და ხელისუფლებაში ყოფნით უზრუნველყონ საკუთარი კეთილდღეობა. დარწმუნებული ვარ, ამ მაჟორიტარების უმრავლესობა, „ქართულ ოცნებას“ რომ ფეხი დაუცდეს და ნაციონალური მოძრაობა აღმოჩნდეს ისევ ხელისუფლებაში, დიდი სიამოვნებით გადახტება უკან.

– ვითომ გადახტებიან?

– აბა, რას იზამენ! არაერთხელ გადამხტარან?!

– ოქრიაშვილის მაგალითზე საუბრობს ბევრი. ის წამოვიდა „ოცნებიდან“ და ითქვა ისიც, რომ ნაციონალებთან მართავს აქტიურად მოლაპარაკებებს.

– თუნდაც ოქრიაშვილია ამის ნათელი მაგალითი, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ. თუნდაც იმავე მთაწმინდაზე ვინც კენჭს იყრის „ოცნებიდან“, 2012 წელს ნაციონალური მოძრაობის შემომწირველი იყო. მაშინ, როდესაც ჩვენ ძალიან მძაფრი ბრძოლა გვქონდა ნაციონალურ მოძრაობასთან, ამ ადამიანმა ფული შესწირა, დღეს კი გაიძახის, ჩემი ფული არ იყო, ამის ფული იყო, იმის ფული იყოო, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს?! ფაქტია, რომ ის ემსახურებოდა ნაციონალური მოძრაობის სალაროს. ფაქტია, რომ მისი სახელით ფული ჩარიცხულია ნაციონალური მოძრაობის ფონდში და ეს ხდება მაშინ, როდესაც „ქართულ ოცნებას“, ჩვენ, გვქონდა ძალიან დრამატული ბრძოლა ნაცმოძრაობასთან. დღეს ის არის „ქართული ოცნების“ კანდიდატი მთაწმინდაზე, ცენტრალურ უბანში, წარმოგიდგენიათ?!

– ბექა ოდიშარიაზე საუბრობთ?

– დიახ. ახლა როგორ ლაპარაკობს? ხომ იცით, მაშინ როგორც ხდებოდა და ეს არგუმენტია?! და რა არის ასეთი ადამიანების მიზანი? მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობა. აბა, რა მექნაო. დიდი ბოდიში, მაგრამ ჩვენ, ვინც ვიბრძოდით? მე არ შემეძლო, ჩემი ცხოვრება მომეწყო?! შემეძლო, მაგრამ ეს არ გამიკეთებია! ის საკუთარ კონფორმიზმს იმით ამართლებს, მაშინ ასეთი სიტუაცია იყო და უნდა გამეტარებინა ეს ფული ანგარიშზეო. ფაქტობრივად, ამბობს, ეს ჩემი ფული არ იყო, სხვისი ფული იყო, უბრალოდ, ჩემს ანგარიშზე გავატარეო. ამით, ფაქტობრივად, სისხლის სამართლის დანაშაულს აღიარებს. თავად კი თვლის, რომ ეს მოსულა და ასეთი რაღაც შესაძლებელია. ფაქტობრივად, მისი საარჩევნო კამპანია რაზე უნდა იყოს აგებული?! რომ სისხლიანი რეჟიმისთვის აქვს ფული ჩარიცხული? ეს ხომ სრული აბსურდია! მე საერთოდ არ მესმის იმ მთაწმინდელის, რომელიც ამ ადამიანს ხმას მისცემს! ნაცმოძრაობა რომ დაბრუნდეს ხელისუფლებაში, ასეთი ადამიანები გადახტებიან უკან, აბა, რას იზამენ! ამ ხალხისთვის დეპუტატობა მხოლოდ და მხოლოდ ბიზნესია! მათთვის დეპუტატობა ბიზნესის ნაირსახეობაა.

– მაჟორიტარების უმრავლესობა ასეა?

– რა თქმა უნდა, ასეა. ამიტომ იყო ეს მაჟორიტარული მანკიერება ერთხელ და სამუდამოდ ამოსაშანთი, რომ ასეთი პრეცედენტები არ გვქონდეს. ახლა ბოლქვაძესა და სხვებზე საერთოდ არ ვლაპარაკობ, შევარდნაძის შემდეგ რომ სულ დეპუტატები არიან და ყოველთვის სახელისუფლებო პარტიაში იყვნენ ჩამხტარი. ბოლქვაძე დღეს ისევ კენჭს იყრის და სისხლიან რეჟიმზე საუბრობს. ეს ნორმალურია?! ეს ხომ ძალიან არაჯანსაღია. უბრალოდ, ამომრჩევლის მიკვირს, როგორ შეიძლება, ასეთ ადამიანს ხმა მისცე!

– რამდენად აქვს „ოცნებას“ იმის შანსი, რომ მაჟორიტარების უმრავლესობა კვლავ მოიგოს?

– „ოცნებას“ აქვს უპირატესობა და მისი უპირატესობა განპირობებულია დღევანდელი ობიექტური რეალობით. მოდით, ობიექტურობისთვის ვთქვათ, რომ კრიზისმენეჯმენტი პანდემიასთან დაკავშირებით საკმაოდ კარგ დონეზე ჰქონდათ. გარდა ამისა, გამოჩნდა ერთი ადამიანი მაინც ამდენ არაადეკვატურში, რომელსაც აქვს ელემენტარული საღი აზრი და შეუძლია რაღაც დონის მართვა.

– გახარიას გულისხმობთ, ალბათ.

– რა თქმა უნდა! ეს არის ერთი პლუსი და მეორე პლუსი გახლავთ ოპოზიციის არაადეკვატურობა.

– ბატონო გია, ვიდრე ოპოზიციაზე გადავალთ, ისმის კითხვა, სად არის ბიძინა ივანიშვილი, რატომ არ არის ჩართული აქტიურ კამპანიაში? როგორ ფიქრობთ, ის აღარ არის პოპულარული სახე და ცდილობს, გახარიას ზურგსუკან დადგეს?

– ბიძინა ივანიშვილს დღეს აქვს ერთადერთი ამოცანა. მას აღარ აქვს ილუზია, რომ რაღაც პოზიტიურის გაკეთება შეუძლია. აღარც სახელმწიფოზე ფიქრობს, საერთოდ არაფერი აინტერესებს. მისი ამოცანაა საკუთარი უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის გამაგრება და შენარჩუნება. ამ ამოცანებიდან გამომდინარე, ის გამოიყენებს ყველა რესურსს იმისათვის, რომ ძალაუფლება შეინარჩუნოს. თქვენ იცით, რომ მისთვის საქართველო გახდა სააქციო საზოგადოება, რომლის 100%-ის აქციების მფლობელი არის თვითონ. მისი ამოცანა კი არის, როგორ შეინარჩუნოს ეს ყველაფერი. შესაბამისად, ხედავს რა, რომ გახარია მეტ-ნაკლებად პოპულარულია, ის ფიქრობს, როგორ გამოიყენოს ის. მისი ამოცანაა, მთელი შავი სამუშაო შეასრულებინოს გახარიას, თვითონ ამოეფაროს, თუმცა დივიდენდები დაიწეროს თვითონ, მისი სახელი დაერქვას ყველაფერს!

– ჩაატარებინებს არჩევნებს და, შესაძლოა, შემდეგ გახარიას ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგეს?

– ან დადგება, ან არა. გახარიასაც არა აქვს იმის ილუზია, რომ რეალურ ძალაუფლებაზე შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია. გამომდინარე ბიძინა ივანიშვილის ბუნებიდან, მას სხვისი პოპულარობა აღიზიანებს. თუმცა გახარია ივანიშვილისთვის საშიში არ არის, იმიტომ რომ გახარიას არა აქვს იმის შინაგანი რესურსი, საკუთარი თამაში დაიწყოს.

– არ ჰყავს საკუთარი პოლიტიკური გუნდი.

– ეს არის მისი ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა, რომ მარტო კაცია, ფაქტობრივად, ხელისუფლებაში. თუმცა ბიძინა ივანიშვილს მხოლოდ ეს არ აკმაყოფილებს, მისი პოპულარობაც აღიზიანებს.

– ბოლო კვლევებს თუ გავითვალისწინებთ, გახარია საკმაოდ უსწრებს ივანიშვილს რეიტინგით.

– დიახ და ეს არ სიამოვნებს. მაღალი ალბათობით, შესაძლოა, მოიშოროს. ყოველი შემთხვევისთვის, შეეცდება, რომ გახარიას კომპრომეტირება მოახდინოს მაქსიმალურად. უბრალოდ, ერთ ფაქტს გავუსვამ ხაზს: ამ დღეებში, თქვენც იცით, რომ პროკურატურამ გამოაქვეყნა დასკვნა მუქარის წერილზე გახარიას თითის ანაბეჭდებთან დაკავშირებით. მე გამიჩნდა კითხვა, რისთვის გამოქვეყნდა ეს პასუხი?!

– რისთვის? თემა ამოსწიეს?

– თითქოს ეს გააკეთეს გახარიას სასარგებლოდ. ვითომ გახარია გაათეთრეს, მაგრამ, სინამდვილეში, პირიქით მოხდა. რატომ? იმიტომ, რომ ვის ახსოვდა დღეს ეს საკითხი. მივიწყებული იყო და მოხდა საკითხის აქტუალიზაცია ერთადერთი მიზნით, რომ ვიღაცას გახარიასთვის ეთქვა, შენ თავი მართლა კაცი ხომ არ გგონია, მუჭით მიჭირავხარ და ეს უნდა გახსოვდესო. არჩევნების წინ მოხდა ამ წერილის აქტუალიზაცია საკმაოდ სუსტი არგუმენტებით იმიტომ, რომ პროკურატურის დასკვნის ამ ქვეყანაში ბარე ორ ადამიანს არ სჯერა. ეს იყო გახარიასთვის შეხსენებითი გზავნილი ძალოვანი სისტემის მხრიდან, ეი, შენ, ილუზიები არ გაგიჩნდეს, რომ რაღაცას წარმოადგენ, სინამდვილეში კი ნებისმიერ მომენტში შეგვიძლია შენი მოსპობაო. მას შემდეგ, რაც გახარიას შავ სამუშაოს შეასრულებინებენ, არა აქვს მნიშვნელობა, სისტემაში დატოვებენ, არ დატოვებენ, ფაქტია, რომ შემდეგი ეტაპი იქნება მისი მითის საბოლოოდ დამსხვრევა. რა ფორმით მოხდება ეს ყველაფერი და როგორ, ამას მალე ვნახავთ.

– ბატონო გია, ოპოზიციის არაადეკვატურობა ახსენეთ და რა ხდება ოპოზიციურ ველზე? დაპირისპირება, ურთიერთკინკლაობა და დავა მაჟორიტარულ ოლქებზე დღემდე არ დასრულებულა.

– საერთოდ, მე მიმაჩნია, რომ მაჟორიტარული არჩევნებისადმი ამხელა ყურადღება ძალიან სასაცილოა. ძალაუფლების ბედი არ წყდება მაჟორიტარულ არჩევნებზე. ძალაუფლების ბედი წყდება პროპორციულ არჩევნებზე. შესაბამისად, ერთი დეპუტატით მეტი და ერთი დეპუტატით ნაკლები, არც არავის სცხელა და არც არავის სცივა. გაუგებარია ეს ყველაფერი, მაგრამ აქ სულ სხვა მიზეზები და მოტივაციებია.

– კერძოდ, რა?

– იმავე „ევროპულ საქართველოსა“ და ნაციონალურ მოძრაობას ჰყავთ ერთი ელექტორალური ბაზა ანუ ერთ ელექტორატს იყოფენ. ეს არის გარკვეულწილად ჩაკეტილი სისტემა და ისინი ახლა ერთმანეთს ეჩხუბებიან იმაზე, მათი ელექტორალური ბაზა რა პროპორციით გადანაწილდება ამ ორ პარტიაზე. აი, ამისთვის მიდის ომი და არა განვითარებისა და ახალი ელექტორატის მოზიდვისთვის. ამის პოტენციალი აქ არ არსებობს. დღეს ყველა პარტიას უკვე ჰყავს თავისი სტაბილური ამომრჩეველი. გარდა ამისა, არსებობს ამომრჩევლის ძალიან დიდი სეგმენტი, რომელსაც ამ ორი ძირითადი ცენტრიდან არც ერთი არ მოსწონს. არც წარსულის არჩევანის გაკეთება უნდა ნაცმოძრაობისა და „ევროპული საქართველოს“ სახით და არც აწმყო მოსწონს „ქართული ოცნების“ სახით. დღეს რეალურად ყველა პარტია იბრძვის ამ ამომრჩევლისთვის. ვინ არის ეს ამომრჩეველი?! ეს არის ამომრჩეველი, რომელსაც უნდა ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრისთვის ხმის მიცემა და აქ გვაქვს დიდი პრობლემა. ვერ იქმნება ისეთი პოლიტიკური ცენტრები, რომლებიც არ ასოცირდებიან არც წარსულთან და არც აწმყოსთან. კი ბატონო, პატარ-პატარა სეგმენტები მიაქვთ, მაგრამ მთლიანად ამის კაპიტალიზაციას ვერავინ ახდენს.

– „ლელოზე“ რას იტყვით?

– თითქოს „ლელოს“ ჰქონდა ამის გარკვეული პერსპექტივა, მაგრამ მისი განვითარების დინამიკა არ იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ ისინი შეძლებენ ამ ამომრჩევლის წაყვანას. შესაბამისად, ამაზეა გათვლილი „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკა, რომ ამომრჩეველი ცუდსა და უარესს შორის არჩევანის პირისპირ დატოვონ და ორპოლუსიანობის ვითარება შექმნან. შესაბამისად, გვაქვს ის რეალობა, რომელიც გვაქვს.

– რა რეალობის წინაშე დავდგებით არჩევნების შემდეგ, როგორია თქვენი პროგნოზი?

– მაჟორიტარების თემა რომ დავხუროთ, ჩემი აზრით, აბსოლუტურად ყველგან მეორე ტურები იქნება, თუ კიდევ რაღაცა არ შეიცვალა რადიკალურად და ოპოზიციამ კიდევ ბევრი სისულელე არ აკეთა. რაც შეეხება პროპორციულს, პროპორციულის შედეგები ჯერ კიდევ ბუნდოვანია. ხელისუფლებას აქვს აშკარა უპირატესობა, პირდაპირ გეტყვით, დღეის მდგომარეობით, მაგრამ ბუნდოვანია იმიტომ, რომ ქვეყანა სერიოზული ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას და სექტემბერ-ოქტომბერში, შესაძლოა, შეიქმნას სავსებით კონკრეტული პრობლემები. იგივე კრიმინოგენური ფონი, ეს დაუხურავი საქმეები. ამიტომ ხელისუფლების უპირატესობა, დღეის მდგომარეობით, საკმაოდ მყიფეა. ამ ფონზე ორი თვე ცოტა არ არის და არ ვიცით, როგორ შეიცვლება სიტუაცია. დღეს რომ იყოს არჩევნები, ხელისუფლება იგებს, მაგრამ ამ ორმა თვემ, შეიძლება, სურათი შეცვალოს.

ელენე ხოშტარიამ „პატრიოტთა ალიანსს“ პროკურატურაში უჩივლა

„ალიანსს“ რუსეთიდან ავალებენ საქართველოში შუღლის გაღვივებას და ამაში დიდ ფულს უხდიან“

გენერალურ პროკურატურაში ვაკის მაჟორიტარობის კანდიდატმა ელენე ხოშტარიამ „პატრიოტთა ალიანსის“ დაფინანსებასთან დაკავშირებით განცხადება შეიტანა.

ელენე ხოშტარიას განცხადებით, „პატრიოტთა ალიანსის“ წინააღმდეგ პროკურატურამ გამოძიება უნდა დაიწყოს.

– საგამოძიებო მასალა, რომელიც გახდა ცნობილი ჩვენი საზოგადოებისთვის, არის ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან დიდი დარტყმა და ძალიან დეტალურად და კონკრეტულად საუბრობს იმ დანაშაულზე, რომელსაც სჩადის „პატრიოტთა ალიანსი“. აქ არის ძალიან დეტალურ ინსტრუქციებზე საუბარი, თუ როგორ ავალებენ რუსეთიდან „პატრიოტთა ალიანსს“ საქართველოში შუღლის გაღვივებას, სიძულვილის გაღვივებას, ანტიდასავლურ პროპაგანდას, ოპოზიციური პარტიების დაშავებას და რაც მთავარია, აქედან ასევე იგზავნება ადამიანების დოსიეები პირდაპირ კრემლში და ასევე, ამ ყველაფერში „პატრიოტთა ალიანსი“ იღებს კონკრეტულ თანხებს.

აქ არის ორ ეპიზოდზე საუბარი: ერთი 700 ათასი და მეორე 8 მილიონი მთლიანად საარჩევნო კამპანიაზე. არანაირი განცხადების შეტანა არ სჭირდება იმას, რომ პროკურატურა მსგავსი ინფორმაციის გამოქვეყნებისთანავე საგანგებოდ უნდა იწყებდეს გამოძიებას ძალიან ბევრი მუხლით, – განაცხადა ელენე ხოშტარიამ.

მისივე თქმით, რუსეთი ბევრ ქვეყანაში ცდილობს საარჩევნო პროცესებში ჩარევას და საკითხი ეხება ქვეყნის უსაფრთხოებას, სადაც რუსეთს თავისი კონკრეტული ამოცანები აქვს.

– ეს რუსეთის მხრიდან ახალი არ არის. რუსეთი ძალიან ბევრ ქვეყანაში ცდილობს ჩაერიოს წინასაარჩევნო პერიოდში, თუმცა ქვეყნებში, რომელსაც ღირსეული მთავრობები ჰყავს, ამ საქმეზე მიდის ძალიან დეტალური გამოძიება. ჩვენ კარგად ვიცით, რომ „ქართული ოცნება“ არაერთხელ იყო პირდაპირ ალიანსში „პატრიოტთა ალიანსთან“. შეგვიძლია, კონკრეტული ფაქტი გავიხსენოთ – სალომე ზურაბიშვილის მეორე ტურის წინ გაცხადებული მათი კავშირი და ერთად მოქმედება და ბევრი სხვა ეპიზოდი.

გასაგებია, რომ ისინი მათი სატელიტები არიან, მაგრამ ეს საკითხი ეხება ქვეყნის უსაფრთხოებას, სადაც რუსეთს თავისი კონკრეტული ამოცანები აქვს. რუსეთის ამოცანაა ქვეყნის დესტაბილიზაცია, შუღლის გაღვივება და დასავლეთის დისკრედიტაცია. ამიტომ, რა თქმა უნდა, თუ თავად არ დაიწყეს გამოძიება, მივმართეთ კონკრეტული მოთხოვნით, რომ ამ ანგარიშში მოყვანილ საზარელ ფაქტებზე დაიწყოს გამოძიება, – განაცხადა ელენე ხოშტარიამ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ავტომობილების ტექდათვალიერება კორუფციის წყაროა“

გიორგი გუგავა: „ქვეყანაში კატასტროფული სიტუაციაა. ყოველწლიურად ავტოავარიით 600 ადამიანი იღუპება“

იაგო ნაცვლიშვილი

ტრაგედია მოხდა შატილის გზაზე, როდესაც მიკროავტობუსი 80 მეტრის სიმაღლიდან გადავარდა. შედეგად 17 ადამიანი დაიღუპა, 3 მათგანი კი ისევ მძიმე მდგომარეობაშია. ამან საზოგადოება კიდევ ერთხელ დააფიქრა საგზაო უსაფრთხოების ნორმებსა და იმაზე, რამდენად ასრულებს საქართველოს ხელისუფლება თავის ვალდებულებებს და ხომ არ უდგება აღნიშნულ საკითხებს გულგრილად.

რა მთავარ პრობლემებსა და გამოწვევებს ხედავს ამ მიმართულებით და დებს თუ არა პირობას, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ამ საკითხებზე სიღრმისეულად ისაუბრებენ? – ამ და სხვა საკითხებზე ამ თემის ირგვლივ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს „ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი გუგავა:**

– ბოლო პერიოდში ბევრი ტრაგედია გვაქვს ქვეყანაში. ასეთი შემთხვევა იყო შატილის ტრაგედიასთან დაკავშირებითაც, როდესაც ავტოავარიას 17 ადამიანი ემსხვერპლა. ამ პროცესში ხედავთ თუ არა სახელმწიფოს როლს, როცა ეს საკითხები არათუ ვერ გვარდება, არამედ უფრო და უფრო რთულ ხასიათს იღებს?

– რა თქმა უნდა. სამწუხაროდ, ტრაგედიები, რომლებიც დატრიალდა ზაფხულში, მკვლელობები თუ ავტოსაგზაო შემთხვევები პირდაპირ დაკავშირებულია ხელისუფლებასთან, ზოგჯერ დანაშაულებრივ უმოქმედობასთან, ზოგჯერ თავად დანაშაულთან, რომელსაც თავად ხელისუფლება ახორციელებს.

არ შევეხოთ გახმაურებულ საქმეებს და ბოლო ტრაგედიაზე ვისაუბროთ. ჩვენ ვიცით, რომ ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად დაღუპულთა რაოდენობით მსოფლიოში ერთ-ერთი პირველები ვართ. კატასტროფულად მძიმე ვითარებაა ამ თვალსაზრისით.

– საგზაო პოლიტიკის არასწორად დაგეგმარების ბრალია ეს?

– რა თქმა უნდა. მასშტაბურად რომ შევხედოთ ამას, ეს დაკავშირებულია იმასთან, რასაც ხელისუფლება ახორციელებს. იმავე საგზაო უსაფრთხოების თვალსაზრისით, იმავე ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით. ის გზა, სადაც ტრაგედია მოხდა, იყო აბსოლუტურად მოუწესრიგებელი. დამცავი ჯებირები არ არსებობს და, როგორც აღმოჩნდა, თურმე ავტომობილს ტექმომსახურება გავლილი არ ჰქონია. ფულის საკეთებლად არის გაკეთებული ტექნიკური მომსახურების გავლა. მრავალი კომპონენტისა და ნიუანსისგან შედგება ეს საკითხი. ეს ყველაფერი კი იწვევს ამგვარ ტრაგედიებს.

– ეს რას ნიშნავს? როგორ დადიოდა მანქანა, რომელსაც არ ჰქონდა გავლილი ტექმომსახურება?

– როგორც ჩანს, ეს სინამდვილეში ატარებს ფორმალურ ხასიათს და არანაირ რეალურ შედეგს არ ვიღებთ აქედან. რეალურად მანქანების მდგომარეობა არ მოწმდება. ამას დავუმატოთ მოშლილი ინფრასტრუქტურა, სადაც ტრიალებს კორუფციული სქემები და სატრანსპორტო პოლიტიკის არასწორ დაგეგმარებას აკეთებენ. არასწორი პოლიტიკაა ისიც, რომ არ ხდება საგზაო შემთხვევების რეალური ანალიზი, შესაბამისი დასკვნები უნდა კეთდებოდეს და შესაბამისი რეაგირება უნდა ხდებოდეს ამ ყველაფერზე, რაც არ ხდება. ამიტომაც გვაქვს კატასტროფული სიტუაცია, როდესაც ყოველწლიურად 600 ადამიანი იღუპება.

ამას სჭირდება გლობალური გადაწყვეტა ამ პრობლემების მოგვარების თვალსაზრისით, დაწყებული მანქანების ტექნიკური მდგომარეობით, გაგრძელებული სატრანსპორტო პოლიტიკით და დასრულებული ინფრასტრუქტურით. მკვლელი გზები გვაქვს, რაც რეალურად არანაირ სტანდარტში არ ჯდება.

– ახსენეთ ტექმომსახურება. არის თუ არა ეს კორუფციის ერთ-ერთი წყარო და აქვე გკითხავთ, ტურისტულ სააგენტოებს თუ ამოწმებს ვინმე, რამდენად სტანდარტების დაცვით გეგმავენ ტურებს? მაგალითად, ის, რომ 13 საათი გზაში ყოფნა საკმაოდ რთულია და ა.შ.

– რა თქმა უნდა, სტანდარტები უნდა იყოს დაწესებული და ის უნდა მოწმდებოდეს,

მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც ქვეყანას მთავარი გეზი ტურიზმზე აქვს აღებული. უნდა გადმოვიღოთ ის დასავლური სტანდარტები, რომლებიც ამ მიმართულებით არსებობს. ეს მიმართულებები მიშვებულია, შესაბამისად, ეს ყველაფერი კორუფციის წყაროა და ასეთ ტრაგიკულ შემთხვევებს ვიღებთ. სახელმწიფოს ვალდებულებაა როგორც სხვა, ასევე ამ მიმართულებითაც, რაც ეხება ადამიანების უსაფრთხოებას, რეგულაციებსა თუ პოლიტიკას. ეს არის ხელისუფლების პირდაპირი ვალდებულება, მაგრამ, როგორც ყველა სხვა სფეროში, აქაც ვხედავთ, რომ ეს სფეროებიც კორუფციის წყაროდ არის ქცეული. უყურებენ იმას, როგორ მოიგონ ტენდერები და როგორ შეჭამონ ფული, როგორ მოახდინონ ამა თუ იმ სფეროს მონოპოლიზება და არაფრად აგდებენ ადამიანების ჯანმრთელობასა თუ სიცოცხლის უსაფრთხოებას. ამიტომ ვიღებთ ასეთ ტრაგიკულ შემთხვევებს.

– თუ გამოკვეთთ კონკრეტულად ვინმეს პასუხისმგებლობას ამ საკითხებში?

– რა თქმა უნდა. ეს არის ხელისუფლება. როდესაც ასეთი ტრაგიკული რიცხვები გიდევს წინ, რომ ყოველწლიურად 600 ადამიანი გეღუპება ავარიის შედეგად, ეს ამაზე მეტყველებს. ამ ვითარებაში მთავრობა უნდა იყოს ამ საკითხის მოგვარებით დაინტერესებული. შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივები უნდა ჰქონდეთ, შესაბამისი რეგულაციები უნდა ჰქონდეთ მიღებული. ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით ვინც შეცდომა დაუშვა, ისინი პასუხისგებაში უნდა იყვნენ მიცემული. რატომ არ ხდება გამართული ავტოტრანსპორტის მომსახურება? ტურიზმს სჭირდება რეგულაციები, იქნება ეს შიდა ტურიზმი, გარე ტურიზმი თუ სხვა.

უამრავი საკითხია. კომპლექსურად არის ეს საკითხი გადასაწყვეტი და, ბუნებრივია, რომ ეს მთავრობისა და პარლამენტის კომპეტენციაა, მაგრამ არაფერი გაკეთებული არ აქვს. მათი მიზანია, რომ ტენდერებში ფული აკეთონ და ბიუჯეტი გამოხრან.

– ვინ არიან პასუხისმგებელი პირები და ვინ არიან ისინი, ვინც ამ ბიუჯეტს ხრავს? რამდენიმე პირი რომ დაასახელოთ, თუ შეიძლება?

– ესენი არიან, დაწყებული პრემიერ-მინისტრით. აბა, ვინ უნდა გადაწყვიტოს ეს საკითხები?! მათ აქვთ შესაბამისი ვალდებულება და საკანონმდებლო ბერკეტები.

– ანუ მაინც პრემიერ-მინისტრს გამოკვეთთ?

– აბა, ვის? აბა, რისთვის გვაქვს სახელმწიფო და რისთვის გვყავს ესენი დაქირავებული?! ამ საკითხებზე უნდა ფიქრობდნენ, მუშაობდნენ და წყვეტდნენ. ასეთი აშკარა ტრაგედიებია. მერამდენე შემთხვევა უნდა მოხდეს?!

– შსს-ს პირდაპირი პრეროგატივა არ არის?

– დიახ, შსს-ს თავისი ვალდებულებები გააჩნია.

– თუ მოხვალთ ხელისუფლებაში, დებთ თუ არა პირობას, რომ ამ საკითხებზე შინაარსობრივად და სიღრმისეულად იმუშავებთ?

– რა თქმა უნდა. ეს უმნიშვნელოვანესი საკითხია, რაც დაკავშირებულია ადამიანის სიცოცხლესთან. უამრავი ტრაგიკული შემთხვევა გვაქვს და ამ მონაცემებით ლამის პირველ ადგილზე ვართ. აქედან გამომდინარე, ასეთი საკითხები მოგვარებული უნდა იყოს. გამოიკვეთოს პრობლემები და კომპლექსურად გადაწყდეს ყველა მიმართულება, რათა დავიცვათ ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოება.

„მოსახლეობის 98% მდგმურივითაა, 2%-ს აქვს ყველაფერი“

გედი ფოფხაძე: „ჩემი, როგორც პოლიტიკოსის ამოცანაა, ჩაგრული ხალხი მჩაგვრელების წინააღმდეგ გაერთიანდეს“

ნათია ხურცილავა

„ჩვენი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის დეპუტატი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო გედევან, 30-მდე ოპოზიციური პარტია აცხადებს, რომ „ქართულ ოცნებას“ კოალიციას არ შეუქმნის. როგორია თქვენი პოზიცია?

– პოლიტიკური სპექტრის მიერ ასეთი ვალდებულებების აღება მე სწორი არ მგონია. მაგალითად, არ ვაპირებთ მამუკა ხაზარაძესთან კოალიციის შექმნას, მაგრამ ამაზე წინასწარ პოლიტიკურ სპექტრთან ხელმოწერების შეგროვების აუცილებლობას ვერ ვხედავ.

ეს უფრო ამომრჩევლის წინაშე საკუთარი ვალდებულებების შეზღუდვა მგონია გარკვეული ფორმით. ეს არ არის ამომრჩევლის ინტერესი. ამომრჩევლის ინტერესი სახალხო ხელისუფლებაა, რომ როგორღაც მიიღოს ამომრჩეველმა სახალხო ხელისუფლება. ამ მოცემულობაში ასეთი ვალდებულებების აღება, გარდა იმისა, რომ ნაციონალურ მოძრაობასთან პასუხისმგებლობას ნიშნავს, სხვა რამეს ნიშნავს პირადად ჩემთვის!

ჩვენ არ ვაპირებთ „ოცნებასთან“ კოალიციის შექმნას და ეს საკმარისია, რომ კიდევ დამატებითი ხელმოწერებით არ შევიზღუდოთ თავი. თუმცა არც შალვა ნათელაშვილთან და ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად ვაპირებ ამ ქვეყნის მომავლის დაგეგმვას.

– არც თქვენი პარტია აპირებს „ქართულ ოცნებასთან“ კოალიციაში შესვლას?

– ასეთი გეგმა და ამოცანა არ გვაქვს, რომ „ოცნებასთან“ ერთად კოალიცია შევქმნათ. ჩვენი პარტიის წინასაარჩევნო ამოცანა ქართველ ხალხთან გარიგებაა სრულიად კონკრეტულ საკითხებზე. გარიგების მიზანი სრულიად ცალსახაა. ეს არის სახალხო მთავრობის ჩამოყალიბება. ჩვენ მიერ აღებულ პოლიტიკურ ვალდებულებებს გარკვეული ფორმაც ექნება. მე გამოვრიცხავ სახალხო მთავრობის ფორმირებას „ქართული ოცნების“, ნაციონალური მოძრაობისა და მამუკა ხაზარაძის ბაზაზე. ეს პოლიტიკური ძალები უკვე კარგად გამოცდილები არიან და ჩვენ ვიცით, რომ მათი ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია, ისინი ხალხს ემსახურონ.

ან მთავრობა, მინისტრები იქნებიან ხალხის სამსახურში და სწორედ ასეთი ადამიანებით დაკომპლექტდება ახალი მთავრობა, ან „ჩვენი საქართველო“ სხვანაირი მთავრობის შექმნაში მონაწილეობას არ მიიღებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისევ ოპოზიციაში ვიქნებით და აქედან დავიცავთ სახალხო ინტერესს.

– თუმცა სოციოლოგიური კვლევები აჩვენებს, რომ „ქართული ოცნების“ გარეშე ვერანაირად ვერ ყალიბდება ახალი მთავრობა. „ოცნება“ მასთან დაიწყებს მოლაპარაკებებს, ვინც მოინდომებს მასთან კოალიციას. ასე არ არის?

– სოციოლოგიური კვლევის შედეგებს ნუ განვიხილავთ, როგორც არჩევნების შედეგებს, ჩემი ამოცანაა, როგორც პოლიტიკოსის, კვლევების მიერ დადებული შედეგები შევცვალო. მიზანი არის, რომ არჩევნებმა სრულიად სხვა შედეგი დადოს. თუკი სოციოლოგიურ კვლევას, როგორც ფაქტობრივ მოცემულობას, ისე მივიღებ, მაშინ რა გამოდის, რომ თამაშგარე მდგომარეობაში ვარ?! ასე არ არის. ჩემი ამოცანაა, როგორც პოლიტიკოსის, ჩაგრული ხალხი მჩაგვრელების წინააღმდეგ გაერთიანდეს. მჩაგვრელს სახელი უნდა დაერქვას. 2% ამ ქვეყანაში ყველაფერია, დანარჩენი 98% კი მდგმურია. ეს უსამართლობა უნდა შევცვალოთ, ამაზეა საუბარი. ეს არის გასააზრებელი და ბრძოლაა დასაწყები სამშობლოს დასაბრუნებლად. ამ პროცესში არ ვაპირებთ არც ხაზარაძესთან, არც ივანიშვილთან და არც სააკაშვილთან გარიგებას. რაზე უნდა გავურიგდეთ?!

– თქვენ რამდენად შეძლებთ ხალხის დარწმუნებას?

– თუ ვერ შევძლებთ, მართლები მაინც დავრჩებით ხალხის წინაშე. თუ შედეგი ვერ დგება და ეს შეუძლებელია, მორალურად მართალი მაინც უნდა დარჩე. თუმცა მე არ ვთვლი, რომ ამ ბრძოლაში განწირულები ვართ. თავისთავად, სწორი მორალური პოზიცია უკვე გამარჯვებაა.

– ბატონო გედევან, რატომ არა ბორჯომი და რატომ დიდუბე-ჩუღურეთი?

– ბორჯომში „ჩვენს საქართველოს“ ღირსეული კანდიდატი ეყოლება. ბორჯომში, მე წინასაარჩევნო კამპანიაში ძალიან აქტიურ მონაწილეობას მივიღებ და ჩვენ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ.

– რატომ დიდუბე-ჩუღურეთი?

– წინასწარი კვლევების, ამომრჩევლის განწყობების შედეგად მივიღეთ ეს გადაწყვეტილება. კარდაკარ ვიარე და მივხვდი, რომ ამ ხალხთან ერთად შემიძლია, ამ ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის ვიბრძოლო. მე მჭირდება თანამებრძოლები ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის, მათ კი სჭირდებათ უფლებადამცველი, რომელიც მათ ინტერესებს პირუთვნელად დაიცავს.

– რას იტყვით კონკურენტებზე? მთავარი კონკურენტი გია ვოლსკია?

– კონკურენტებს არ შევაფასებ. ჩემი მთავარი მიზანია, ვესაუბრო მოქალაქეებს, რათა დავარწმუნო ისინი. მე ვაპირებ, ადამიანებს დავანახო ის რესურსი, რომელიც უალტერნატივოს გამხდის.

ძალიან შეზღუდულები ვართ ფინანსური თვალსაზრისით. რეკლამა არ გვაქვს. ჩვენ არ გვაქვს ფული, რადგან არ ვიყიდებით. ფულთან ერთად არ ვიღებთ ვალდებულებებს. შესაბამისად, არ გვაქვს ბანერები, ბილბორდები, რომლებიც 10 ათასი ღირს. ვისაც ბანერები აქვს გამოკრული, არც ერთი სახალხო არ არის. ეს არის გაყიდული პოლიტიკის შედეგი. შეიძლება, ჩვენი არჩევანი არის მძიმე, მაგრამ ეს არის სწორი არჩევანი, ამაში სრულიად დარწმუნებული ვარ.

– კიდევ ვინ არიან კანდიდატები?

– მარიამ ჯაშისა და ზვიად კვაჭანტირაძის გარდა, დანარჩენები – ჯაბა ჯიშკარიანი – მთაწმინდაზე, ლევან გოგიჩაიშვილი – საბურთალოზე, ბექა ნაცვლიშვილი – ვაკეში. ჩვენ ვაპირებთ, ხალხთან ერთად ბოლომდე ვიბრძოლოთ, რათა ეს რეალობა შევცვალოთ.

საქართველოში მიწისძვრა მოხდა

24 აგვისტოს, ღამით, საქართველოში მიწისძვრა მოხდა.

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებათა ინსტიტუტის – სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, 3,5 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა ქალაქ ყვარელთან, სოფელ ახალსოფლიდან 2 კმ-ში დაფიქსირდა.



შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, გვსურს, საზოგადოებას მივაწოდოთ დამატებით ინფორმაცია თერჯოლის რაიონში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით.

შინაგან საქმეთა სამინისტროში აღნიშნულ ოჯახში არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის თაობაზე განცხადება ან შეტყობინება არ შემოსულა. შესაბამისად, პოლიციის მიერ ოჯახის არც ერთი წევრის მიმართ შემაკავებელი ორდერი გაცემული არ ყოფილა.

აღნიშნულ ოჯახში კონფლიქტთან დაკავშირებით მომართვა 2010 წელს ფიქსირდება, რაზეც მოხდა შესაბამისი რეაგირება, თუმცა სამართლებრივი პასუხისმგებლობა არც ერთი პირის მიმართ არ დამდგარა.

გარდა ამისა, 2014 წელს ადგილი ჰქონდა ბრალდებულსა და მის სიძეს შორის სიტყვიერ დაპირისპირებას, რაზეც პოლიციის მხრიდან გატარდა შესაბამისი ზომები.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის პრიორიტეტია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა და მსხვერპლის ინტერესებზე მორგებული გამოძიების უზრუნველყოფა. გრძელდება მოძალადეთა მიმართ მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარება.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

გიგა ბუკია: „პარტიებმა ამომრჩეველს მკაფიო განმარტებები უნდა მისცენ“

„ამომრჩეველთა სიები დაიხვეწა“

მარიამ მჭედლიშვილი

რამდენიმე აქტუალურ პრობლემაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პარლამენტის დამოუკიდებელ წევრს, კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერ გიგა ბუკიას.

– ხელისუფლება ინტენსიურად ზრუნავს მოსახლეობაზე იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს კორონავირუსი. საქართველოს გზებზე ავტოავარიების შედეგად იმაზე ბევრად მეტი მოქალაქე იღუპება, ვიდრე კოვიდ-19-ის შედეგად. იქნებ სახელმწიფო მეტად უნდა ჩაერიოს საგზაო უსაფრთხოებაში?

– პირველ რიგში, ვუსამძიმრებ შატილის გზაზე ავტოავარიის შედეგად დაღუპულთა ოჯახებსა და ახლობლებს. 17 ადამიანის დაღუპვა უმძიმესი შემთხვევაა. რაც შეეხება შეკითხვას, ეს ყველაფერი უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას: ფინანსური რესურსები ესაჭიროება როგორც ავტოტრანსპორტის გამართვას, ისე ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. ეს მარშრუტი, სადაც ეს ადამიანები დაიღუპნენ, შედის საშიში მონაკვეთების ათეულში. ეს ურთულესი რელიეფია. ეს არის მეწყერსაშიში ზონაც.

– რეგულაციების დაწესება ხომ არ ჯდება ძვირი? ასეთ რთულ მარშრუტებზე ნაკლები სიჩქარის დაწესება ან სხვა შეზღუდვა არ გაამართლებს?

– ჯერ ერთი, ჩვენ ზუსტად არ ვიცით, რა როგორ მოხდა. რეგულაციები ისედაც საკმარისი გვაქვს. მათ შორის, ასეთი რთული ადგილებისათვის. ზოგიერთი რეგულაცია მოსახლეობის გაღიზიანებას იწვევს. ამაზე მეტი შეზღუდვა, პირიქით, პრობლემებს წარმოშობს. შევინარჩუნოთ ობიექტურობა – ასეთი რამ შეიძლება ნებისმიერი ხელისუფლების დროს მოხდეს. ავტოსაგზაო შემთხვევები ევროპული დონის ტრასებზეც ხდება.

– საქართველოში ძალიან ბევრი ავარია ხდება. წინა წლებში გამოქვეყნებული სტატისტიკით, ევროპაში რეკორდსმენები ვიყავით.

– მას შემდეგ ხელისუფლებამ გაატარა ღონისძიებები და ავტოავარიების რიცხვმა იკლო. ჭკვიანმა კამერებმა თავისი როლი შეასრულა. აღდგა ტექნიკური ზედამხედველობა. სააკაშვილის დროს მის გაუქმებას მიზეზები ჰქონდა – იქ დიდი კორუფცია ტრიალებდა. მაშინ ასეთი მოცემულობა იყო, ახლა სხვა მოცემულობა დადგა და ტექდათვალიერება აღდგა. კანონმდებლობის მხრივაც ყველაფერი მოწესრიგებულია.

– არჩევნებზე გადავიდეთ. ძალიან ბევრი საუბარია იმაზე, რომ პანდემიის ახალი ტალღის გამო შეიძლება საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე მოსალოდნელზე ნაკლები უცხოელი დამკვირვებელი ჩამოვიდეს და დიდია გაყალბების საფრთხე.

– ამაზე ლაპარაკობს ნაციონალური მოძრაობა და მასთან გაერთიანებული პარტიები. ამ ხალხისგან ეს განცხადებები ღიმილისმომგვრელია.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ნაციონალური მოძრაობა თვითონ აყალბებდა არჩევნებს. მაგალითისთვის დავასახელებ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს. სააკაშვილმა ის არჩევნები დიდი გაყალბებით მოიგო. პრეზიდენტის მოვალეობის მაშინდელი შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე ამაზე დუმდა. ახლა ის თავისი პარტიით ნაციონალებთან ერთად ირაზმება, რათა წინა აღუდგეს გაყალბებას. მათთან არიან ცესკოს ყოფილი თავმჯდომარეები, რომელთა სინდისზეა ყალბი შედეგები.

– ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ახლაც უნდა გაყალბდეს არჩევნები?

– არა. არჩევნები არ უნდა გაყალბდეს და არც გაყალბდება. ამ ხელისუფლების პირობებში არჩევნები ბევრად უკეთესად ტარდება.

– 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე დამკვირვებლებსაც ბევრი შენიშვნა ჰქონდათ.

– დიახ, პრობლემები იყო, შენიშვნები გამოითქვა, მაგრამ გაყალბება არ მომხდარა. „ოცნების“ მოსვლის შემდეგ საარჩევნო კანონმდებლობაში შევიდა არაერთი ცვლილება გაყალბების წინააღმდეგ. სიები დაიხვეწა.

– არჩევნები გაბერილი სიებით არ ტარდება?

– არა. სია ბევრად გაუმჯობესდა. საქართველოს მოქალაქეების დიდმა ნაწილმა აიღო აიდი ბარათები. არსებობს ელექტრონული სიები ფოტოსურათებით. ეს გამორიცხავს გაყალბებას. გარდა ამისა, საზოგადოება არავის მისცემს უფლებას, წაიღოს მისი ხმები. გაყალბების დიდოსტატები ნაციონალურ მოძრაობასა და „ევროპულ საქართველოში“ არიან.

– გამოითქმის მოსაზრება, რომ მმართველი პარტია განგებ აგვიანებს პარტიული სიის გამოქვეყნებას, რათა თავიდან აიცილოს სიის გარეთ დარჩენილი უკმაყოფილოების ოპოზიციაში გადასვლა.

– სიის გამოქვეყნება შეიძლება არჩევნებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. რაც შეეხება ასეთ მოსაზრებებს, ეს წონადი არგუმენტები არ არის. როცა არ უნდა წარმოადგინონ სია, რამდენი უკმაყოფილოც არ უნდა იყოს, ისინი მოვლენებზე გავლენას ვერ მოახდენენ.

– რას უნდა ველოდოთ ამ არჩევნებისაგან?

– მთავარი სიახლე იმაშია, რომ ამ მოდელით გამართული არჩევნების შედეგად (ეს, ფაქტობრივად, პროპორციული მოდელია) ვერც ერთი ძალა ვერ მოახდენს ძალაუფლების უზურპირებას. ყველა პარტიას ენიჭება დიდი როლი. ამიტომ ყველა მათგანი ვალდებულია, თქვას, რას იზამს. პარტიებმა ამომრჩეველს მკაფიო განმარტებები უნდა მისცენ და უთხრან, ვისთან შევლენ კოალიციაში და ვისთან – არა.

– პარტიების უმრავლესობა ამაზე განმარტებებს აკეთებს. ოპოზიციური ერთობის პარტიები პირობას დებენ, რომ არ შეუქმნიან კოალიციას „ქართულ ოცნებას“.

– ზოგიერთი პარტია არაფერს ამბობს, ზოგი კი ნაწილობრივ აწვდის ხალხს ინფორმაციას. თუ არ უქმნი კოალიციას „ქართულ ოცნებას“, მაშინ ისიც უნდა თქვა, რომ შედიხარ კოალიციაში სააკაშვილის პარტიასთან. თუ არავისთან შედიხარ, გამოდის, რომ ქმნი კრიზისს და იწვევ რიგგარეშე არჩევნებს! ევროპულ სახელმწიფოებში იქმნება კოალიციები. იქ პარტიის ზომას მნიშვნელობა არა აქვს. დავუშვათ, რომელიმე პატარა პარტიამ პარლამენტში მიიღო ორი მანდატი, მათ გარდა კი ხმები გადანაწილდა 74/74-ზე. ეს პარტია წყვეტს, ვის მხარეს გადაიხრება სასწორი. ამ დროს ამ პარტიას, რომელმაც მიიღო პროცენტ-ნახევარი, ისეთივე დიდი მნიშვნელობა ექნება, როგორიც პარტიას, რომელმაც მიიღო ხმების 40%. ჩვენ, კონსერვატორები, თავს სწორედ ასეთ პატარა და მნიშვნელოვან პარტიად წარმოვიდგენთ. ამომრჩეველს ვეუბნებით, რომ არავითარ შემთხვევაში არ გავერთიანდებით სააკაშვილის კოალიციაში. სააკაშვილი მიგვაჩნია დამნაშავედ. თუ საჭირო გახდა „ოცნებასთან“ კოალიციაში შესვლა, ამას განვიხილავთ. ჩვენ ვაპირებთ ქვეყნის მართვაში მონაწილეობას და ვიღებთ პასუხისმგებლობას. „ოცნებას“ აქვს შეცდომები, მაგრამ მას, სააკაშვილის ხელისუფლებისაგან განსხვავებით, დანაშაული არ ჩაუდენია.

მამუკა გვაძაბია: „პატრიოტთა ალიანსი“ რუსეთის საყრდენი ძალაა“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს დამოუკიდებელი ექსპერტი მამუკა გვაძაბია პასუხობს.

– ბატონო მამუკა, როგორ აფასებთ რუსეთის ბოლოდროინდელ პოლიტიკას? რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება იყო თითქოსდა საქართველოსთან შესაძლო მოლაპარაკებების თაობაზე, ამას დაერთო აფხაზ სეპარატისტთა ლიდერების განცხადება, რომ გალში ქართველების მოქალაქეობის საკითხი გადასაწყვეტია. რას ემსახურება ეს განცხადებები, თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ ამ მიმართულებით?

– რასაც ვიტყვი, მიღებული ინფორმაციის შედეგად გაკეთებული ანალიზია და იმ რეალობასთან ახლოსაა, რაც სინამდვილეში კავკასიის ამ რეგიონში ხდება. რატომ ხდება ეს ყველაფერი მოახლოებული არჩევნების წინ? რა ინტერესები აქვს რუსეთს? რუსეთისა და რუსების ინტერესები საქართველოს მიმართ არახალია, მაგრამ უახლოეს პერსპექტივაში, მოახლოებულ ოქტომბრის არჩევნებში რუსეთის ინტერესია, რაც შეიძლება მეტი პრორუსი შეიყვანოს პარლამენტში.

– საქართველოში პრორუსი პარტიები ხომ არიან?

– ამ თვალსაზრისით იცით თქვენ რუსეთთან ბურჯანაძის კავშირების თაობაზე. დღეს რუსეთი ფსონს ბურჯანაძეზე დებს, მაგრამ პირველი ვიოლინო ბურჯანაძე არ არის.

– აბა, ვინ არის პირველი ვიოლინო?

– დღეს პირველი ვიოლინო არის ღიად გამოკვეთილი პრორუსი პარტია „პატრიოტთა ალიანსი“ და საქართველოს ხელისუფლება, როგორც ამ ალიანსის მფარველი, ზოგიერთ შემთხვევაში – დამფინანსებელი.

– რით ჩანს ეს ყველაფერი? რუსეთი „პატრიოტთა ალიანსზე“ დებს ფსონს?

– რუსეთის ფედერაციაში ვიზიტის ერთ-ერთი მიზანი „პატრიოტთა ალიანსისთვის“ დაფინანსების მოპოვებაა. ჩვეულებრივ, ასე აკეთებდნენ ხოლმე, მაგრამ ვინაიდან საქართველოში ვითარება, ზოგადად, რუსეთის სასარგებლო არ არის – მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა პრორუსული არ გახლავთ – რუსეთს ამ შემთხვევაში გავლენიანი ძალა სჭირდება.

– „პატრიოტთა ალიანსი“ გავლენიანი ძალაა?

– „პატრიოტთა ალიანსი“ გავლენიანი პოლიტიკური ძალა არ არის. შეიძლება, რამდენიმე ტვინამღვრეული მიემხროს და ხმა მისცეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს სერიოზულ გავლენას. ამიტომ რუსეთის ინტერესია, ამ ორგანიზაციის გასაძლიერებლად რაღაცნაირად მეტი ხმები მოაპოვებინოს პარლამენტში, რისთვისაც საჭიროა, გააქტიურონ საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილისთვის მნიშვნელოვანი საკითხი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და წარმოაჩინონ, თითქოს „პატრიოტები“ არიან ამ საკითხში მთავარი.

– „პატრიოტთა ალიანსს“ ამ თვალსაზრისით რა შეუძლია?

– ამ კუთხით, სამწუხაროდ, ხელისუფლება არაფერს აკეთებს. უფრო აშავებს, ვიდრე აკეთებს, ამიტომ გამოკვეთილად პრორუსული და ანტიდასავლური ორიენტაციის პოლიტიკური ძალა „პატრიოტთა ალიანსი“ რუსებს საყრდენად ჰყავთ და მათ გასაძლიერებლად იბრძვიან.

ბოლო დროს აფხაზ სეპარატისტთა ლიდერების არაერთი ინტერვიუ მოვისმინე, მათ შორის, სერგეი შამბასი, რომელსაც ტონი სერიოზულად აქვს შეცვლილი. ადრე თუ სტრატეგიული გალის მოსახლეობის გენოციდს ახალისებდნენ, იქ მცხოვრებ მოსახლეობას ყველანაირად ავიწროებდნენ, დღეს ალაპარაკდნენ დემოკრატიის საჭიროებაზე. შამბა ამბობს, თუ გვინდა, დემოკრატიული ქვეყანა გვერქვას, არ უნდა გვაინტერესებდეს, ჩვენი მაცხოვრებელი რა წარმომავლობისაა, აფხაზეთში ვინც არის ძველი მოსახლე და აქ ცხოვრობს (350 ათასი მოსახლე რომ გამოაძევეს, იმაზე არაფერს ამბობენ), ყველას მოქალაქეობა უნდა მივცეთო.

ამას მარტო შამბა არ ამბობს, ე.წ. პრეზიდენტმაც იგივე თქვა. 100%-ით ვიცი, რომ ამის თქმას სეპარატისტები ვერ გაბედავდნენ. ამის დასტურია „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერების თითქოსდა გასაიდუმლოებული ვიზიტი ოკუპირებულ აფხაზეთში.

– რატომ თითქოს? ღიად ითქვა, აფხაზეთში წავიდნენო.

– თითქოს იმიტომ, გასაიდუმლოება რომ სდომებოდათ, ისე გაასაიდუმლოებდნენ, ვერავინ გაიგებდა. ინფორმაციის გაჟონვა შეგნებულად მოხდა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის მებრძოლთა სახელი რომ გაუვარდეთ საქართველოს მოსახლეობაში. ეს პოლიტტექნოლოგიების ნაწილი და რუსების ერთ-ერთი მეთოდია.

რამდენადაც ვიცი, ამას კურირებს („პატრიოტთა ალიანსსა“ და პრორუსულ მიმართულებას) ავადსახსენებელი კალაშნიკოვი. თუ არ ვცდები, კალაშნიკოვი კომუნისტური პარტიის წევრია. როდესაც „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლები მოსკოვში ჩადიან, მას ხვდებიან ხოლმე. კალაშნიკოვი კურირებს, მაგრამ სინამდვილეში ამის კურატორი პრეზიდენტის ადმინისტრაციაა.

ბოლო დროს ბჟანიასთან შესახვედრად ჩამოსული იყო რუსეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე, ვინმე ბადიჩი, რომელმაც ოფიციალურად აფიშირებული შეხვედრები გამართა აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტთან. როდესაც ისინი რესტორანში სადილობდნენ, სოხუმის ერთ-ერთი სანაპირო ავტომატებით შეიარაღებულ პირებს ჰქონდათ გადაკეტილი.

– თქვენ არაერთხელ მითხარით, რომ საჭიროა გარკვეული ნაბიჯების გადადგმა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან აფხაზეთში მათი პოზიციების გასამყარებლად, ვინც აფხაზ საზოგადოებაში პროქართულად არის განწყობილი, ანუ „პატრიოტების“ აფხაზეთში გადასვლა და იქ შეხვედრები ასეთი ნაბიჯი არ არის?

– „პატრიოტთა ალიანსის“ ვოიაჟი აფხაზეთში მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ინტერესების გამტარებელი აქციაა, რომ არჩევნებზე რაც შეიძლება მეტი ხმა მიიღონ პრორუსული ორიენტაციის პიროვნებებმა პარლამენტში შესასვლელად და რაც შეიძლება მეტი პრორუსული ორიენტაციის პარლამენტარი აღმოჩნდეს 2020-ის პარლამენტში.

– ბჟანიას, შამბასა და სხვების ტონის შეცვლა რუსეთის გავლენაა გარკვეული მიზნებისთვის?

– თავის ქმედებებში დამოუკიდებელი რომ იყოს, მაშინ შამბა სწორია. შამბამ თქვა, მთელი ევროპა ერთმანეთს ეომებოდა, მანახეთ ორი ქვეყანა, რომლებიც ერთმანეთს არ ეომებოდნენ, მაგრამ ახლა მშვენიერი კავშირი შექმნეს და რამდენიმე ათეული წელია, მშვიდობას ინარჩუნებენ, ეკონომიკა წინ წავიდა, განვითარების მხრივ მსოფლიოში წამყვანები არიან. ჩვენ გუშინ თუ ვიომეთ, რა მოხდა მერე, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, მუდამ მტრები უნდა ვიყოთ, ამიტომ ქართველებთან უნდა ვილაპარაკოთო.

– საეჭვო რა არის?

– ეს თვალსაზრისი სწორია, მაგრამ, გააჩნია, ამის უკან ვისი ინტერესები იმალება. აბსოლუტურად ჩლუნგი უნდა იყო ადამიანი, რომ დაიჯერო, ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული მარიონეტული რეჟიმები დამოუკიდებლად რაღაცას აკეთებენ, მით უმეტეს, საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხებში. მით უფრო, რუსეთის გარეშე ქართველი პოლიტიკოსების, პარლამენტის ვიცესპიკერის ვოიაჟი აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე სრულიად გამორიცხულია.

– თქვენი ინფორმაციით, ვის შეხვდნენ?

– ე.წ. პრეზიდენტის თანაშემწე სექანიასთან ჰქონდათ შეხვედრები. ახალგაზრდა ტიპია, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს. მას დაავალეს, წავიდა და შეხვდა. აქ მთავარია, გლობალურ კონტექსტში რას ემსახურება ეს თითქოსდა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი. ეს ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ინტერესების გატარებას საქართველოში. ამას, რა თქმა უნდა, ღიად არ აცხადებენ.

რამდენადაც ვიცი, ადა მარშანიასაც უნდოდა აფხაზეთში წასვლა, ინაშვილთან და ლომიასთან ერთად დელეგაციაში ყოფნა, მაგრამ აფხაზები კატეგორიული წინააღმდეგი წავიდნენ.

– ეს რას ნიშნავს?

– ეს იმას ნიშნავს, რომ ადა მარშანია და მისი ახლობლები მონათლულები იყვნენ პროქართველებად, რადგან ზვიადისტების მიტინგებით შეწუხებულები ტაშს უკრავდნენ ედუარდ შევარდნაძის გადაწყვეტილებას ჯარის შეყვანის თაობაზე. მარშანიასთან იქ ჩასვლა და მასთან შეხვედრა ბჟანიასა და სხვებისთვის წამგებიანი იქნებოდა. ამიტომ დელეგაციაში მარშანიას ყოფნაზე კატეგორიული უარი თქვეს.

– რუსი მაღალჩინოსნებისა და სეპარატისტთა ლიდერების ორკესტრირებული, შერბილებული განცხადებები კავშირში ხომ არ არის ბელარუსის მოვლენებთან? ხომ არ სურს რუსეთს, ამით დასავლეთის რეაქცია შეამციროს, თუკი მას ბელარუსში სამხედრო მოქმედებები დასჭირდება?

– ბელარუსის მოვლენებს პირდაპირ არ უკავშირდება, მაგრამ ბჟანიამ პირველივე დღეს მიულოცა ლუკაშენკოს გაპრეზიდენტება. ასევე ლუკაშენკოსთან ერთად იყო მიწვეული მოსკოვში.

– თუმცა ლუკაშენკოს აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობა ოფიციალურად არ უღიარებია.

– დიახ, ლუკაშენკომ არ აღიარა აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობა. ამიტომ აფხაზურ ისტებლიშმენტში ლუკაშენკოს მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა.

ზოგადად, პოსტსაბჭოთა სივრცეში ძალიან საინტერესო მოვლენები ვითარდება. მეორე მხრივ, ძალიან გონივრული, პატრიოტული პოლიტიკა და ცოტა მონდომებაა საჭირო, რომ ყველაფერი საქართველოს სასარგებლოდ იყოს გამოყენებული.

„მამამ შვილი მხოლოდ წარბებით იცნო. მშობლებმა არ იციან, მიცვალებულს მიხედონ თუ ცოცხალს“

23 აგვისტოს შატილის გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევას 17 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. დიდი ტრაგედია ტრიალებს მათ ოჯახებში და მთელი საქართველო გლოვობს.

25 წლის რუსთაველი მედეა დევსურაშვილი სწორედ ამ ავარიას შეეწირა. სამი გადარჩენილიდან ერთ-ერთი კი მისი და, 23 წლის ხატია დევსურაშვილია, რომელიც ამჟამად კომაშია.

„პრაიმტაიმი“ ოჯახის ახლო ნათესავს ესაუბრა:

– ოჯახს სამი გოგო ჰყავს, მედეა უფროსია, მას ბებიის სახელი დაარქვეს, მომდევნო ხატიაა და ჰყავთ კიდევ ნაბოლარა შვილი, 11 წლის ლიზიკო. საუკეთესო გოგონები აღზარდეს, მართლა ძალიან კარგი ბავშვები არიან. ხატია და მედეა ზრუნავდნენ ავადმყოფ ბებიაზე. დილით, ვიდრე სამსახურსა და სასწავლებელში წავიდოდნენ, ბებიას აპურებდნენ, ბანდნენ, უცვლიდნენ ტანისამოსს, ლიზისაც ძალიან დიდ ყურადღებას უთმობდნენ. უფროსი დები კარგა მოზრდილები იყვნენ, როცა ნაბოლარა დაიბადა და დიდი წვლილი მიუძღვით მის გაზრდაშიც.

ინტერნეტში მოძებნეს ტური და წასვლა ისე დაგეგმეს. რა იცოდნენ, რომ სიკვდილის შესახვედრად მიდიოდნენ?

წინა დღეს იყიდეს პროდუქტი საგზლისთვის, დედას ლობიანები დააცხობინეს, დილის 4 საათზე იყო გასვლა დაგეგმილი და მამამ წაიყვანა მანქანით, მიკროავტობუსში ჩასვა და გააცილა.

თურმე თავიდანვე არ უნდოდა შვილების გაშვება – ცუდი წინათგრძნობა მქონდა, გული ცუდს მეუბნებოდა, მაგრამ გოგონებს ისე უხაროდათ ექსკურსიაზე წასვლა, რომ უარი ვეღარ ვუთხარიო. არადა, რომ დაემშვიდობნენ, დედას პირჯვარი გადაუსახავს მათთვის და ცუდად გამხდარა. თავადვე შეუძახია თავისთვის, – ბავშვები არ დავთარსოო და ცდილობდა, ცუდზე არ ეფიქრა.

ბოლოს მედეამ დედას დაურეკა და უთხრა, ჯვრის უღელტეხილი გადმოვიარეთ და შინ ვბრუნდებითო.

დედა ცდილობდა შემდეგ დაკავშირებას. გადიოდა ზარი და არავინ პასუხობდა. რას წარმოიდგენდნენ მშობლები, რომ ამ დროს მათი ერთი შვილი უკვე გარდაცვლილი იყო, მეორე კი სიკვდილს ებრძოდა.

მერე ტელეფონი ხან დაკავებული იყო, ხან არ იჭერდა. აფორიაქდა გოგონების დედა.

შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ შატილიდან მომავალი მიკროავტობუსი ხევში გადავარდა. უკვე პანიკაში იყვნენ მშობლები. შემდეგ 112-დან მოვიდენ და წაიყვანეს დედ-მამა – ვინც იყო მიკროავტობუსში, ყველას მშობლები მიგვყავსო.

შემთხვევის ადგილამდე არ მისულან, რადგან შეატყობინეს, რომ იქ სამაშველო სამუშაოები დასრულებული იყო და დაშავებულებიც და გარდაცვლილებიც უკვე გადაყვანილი იყვნენ.

მალევე დაადგინეს, რომ მედეა გარდაცვლილი იყო და დაიწყეს ხატიას ძებნა.

რადგან დაშავებულები და გარდაცვლილები სხვადასხვა ადგილას გადაიყვანეს, ამიტომ ცოტა გაჭირდა მისი მოძებნა.

აღმოჩნდა, რომ სამი ადამიანის ვინაობა იყო დაუდგენელი და გამომძიებელმა მამას აჩვენა იმ სამი ადამიანის ფოტოები, რომელიმე შენი ხომ არ არისო.

მამამ შვილი მხოლოდ წარბებით იცნო. ეს გოგო ცოცხალიაო, უთხრეს. გახარებულმა მამამ ტელეფონზე დაურეკა მეუღლეს და უთხრა, რომ ხატია ცოცხალი იყო.

ეს ერთგვარი შვება იყო გაუბედურებული მშობლებისთვის. მართალია, ხატია კომაშია, მაგრამ იმედი მაინც არსებობს, რომ გადარჩება.

მშობლებმა არ იციან, რომელ დარდს გაუძლონ – მიცვალებულს მიხედონ თუ ცოცხალს.

საშინელება ტრიალებს ვიდრე მედეას შინ გადმოასვენებდნენ, დედა ხატიასთან იყო კლინიკაში და რამდენიმე წუთით ადრე მოვიდა. მაშინვე ხატებთან დაიჩოქა და ლოცვა აღავლინა შვილის გამოსაჯანმრთელებლად.

მედეა ხომ წაიყვანე, ღმერთო და ხატია მე დამიტოვე, ნუ წაიყვანო, – ტირის საცოდავი ქალი.

არ ვიცი, რა ეშველება ამ ოჯახს და როგორ გაუძლებენ ამხელა ტრაგედიას.

გოგონების დედის თხოვნაა, რომ ყველამ ილოცოს მისი შვილის გამოჯანმრთელებისათვის და ახლად შესვენებული მედეასთვის.

❖ ❖ ❖

შატილის გზაზე მომხდარი ავარიის დროს დაღუპულთა შორის ყველაზე უფროსი 68 წლის

კაცია. დავით სისაური კომპანია „დასის“ დამფუძნებელია. მასთან ერთად შატილში მოგზაურობა საბედისწერო აღმოჩნდა მისი 5 თანამშრომლისთვის.

„ქრონიკა“ დავით სისაურის შვილიშვილს ესაუბრა. მისი განცხადებით, ბაბუა თავად მიიყვანა ტრანსპორტამდე, რომელიც, ერთი შეხედვით, გამართული ჩანდა.

– ჯერ არაფერი ვიცით. მე მივიყვანე ბაბუა, იყო ძველი „მერსედესის“ მარკის მანქანა, „სპრინტერი“, ერთი შეხედვით ვერ განსაზღვრავ, როგორი იყო, – აცხადებს გიორგი სისაური.

ოჯახი ახლა გამოძიების დასკვნის მოლოდინშია და, თუ ტრანსპორტის ექსპლუატაციის ნორმების დარღვევა დამტკიცდა, პროცესს სამართლებრივ ფორმას მისცემენ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ადასტურებს, რომ აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებას 2020 წლის 13 იანვარს ჰქონდა სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება გავლილი და შემდგომი უწევდა 2020 წლის 13 ივლისს, რომელიც აღარ გაუვლია.

❖ ❖ ❖

ჯანდაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის განცხადებით, დუშეთის მუნიციპალიტეტში, შატილის გზაზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილზე გადაუდებელი დახმარების ეკიპაჟები ცენტრში გამოძახების დაფიქსირებისთანავე იქნა მობილიზებული.

მათივე ინფორმაციით, სასწრაფო სამედიცინო დახმარებას ადგილზე დახვდნენ პაციენტები, რომლებსაც სიცოცხლისთვის შეუთავსებელი ტრავმები აღენიშნებოდათ.

„უპირველეს ყოვლისა, უდიდეს მწუხარებას გამოვთქვამთ მომხდარი უმძიმესი ტრაგედიის გამო და ვუსამძიმრებთ გარდაცვლილთა ოჯახებს, მთელ საქართველოს.

გვინდა, გამოვეხმაუროთ გაჟღერებულ ინფორმაციას აღნიშნულ შემთხვევაზე სასწრაფო დახმარების ეკიპაჟების დაგვიანების შესახებ.

ცალსახად ვაცხადებთ, რომ გადაუდებელი დახმარების ეკიპაჟები ცენტრში გამოძახების დაფიქსირებისთანავე იქნა მობილიზებული. კერძოდ, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრში გამოძახება 17:13 საათზე დაფიქსირდა, რის შემდგომაც ეკიპაჟები ზუსტად 2 წუთში, 17:15 საათზე გაემართნენ შემთხვევის ადგილისკენ.

სამწუხაროდ, სასწრაფო სამედიცინო დახმარებას ადგილზე დახვდნენ პაციენტები, რომლებსაც სიცოცხლისთვის შეუთავსებელი ტრავმები აღენიშნებოდათ. ეკიპაჟებმა დაუყოვნებლივ დაიწყეს სამი მძიმედ დაშავებულის სამედიცინო ტრანსპორტირება და ისინი თბილისში, შესაბამის კლინიკაში გადაიყვანეს.

აქვე გვინდა, გამოვეხმაუროთ მოსახლეობისთვის გადაუდებელი დახმარების ხელმისაწვდომობის საკითხს და აღვნიშნოთ, რომ ეკიპაჟები მთელი ქვეყნის მასშტაბით განაწილებულია გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპით. შესაბამისად, როგორც დუშეთის მუნიციპალიტეტში, ისე ქვეყნის სხვა რეგიონებშიც, სამედიცინო ეკიპაჟების განაწილება შეესაბამება გამოძახებათა რაოდენობას და არის საკმარისი.

რაც შეეხება საკურორტო სეზონებს, ცენტრი, გამოძახების მატებასთან ერთად, პერმანენტულად ათავსებს დამატებით ეკიპაჟებს როგორც ზაფხულის, ისე ზამთრის საკურორტო ზონებზე.

ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი მუდმივად უზრუნველყოფს ქვეყანაში მოსახლეობისთვის გადაუდებელი დახმარების სერვისის დროულ მიწოდებას“, – ნათქვამია განცხადებაში.

„დეა კაპანაძეს ინფორმაცია აქვს და მალავს“

რას აცხადებს თეონა თამაზაშვილი

გარდაცვლილი პროგრამისტის თამარ ბაჩალიაშვილის დედის თეონა თამაზაშვილის განცხადებით, მისი შვილის მეგობარს, დეა კაპანაძეს, გარკვეული სახის ინფორმაცია აქვს და მალავს.

ამის შესახებ თეონა თამაზაშვილმა ჟურნალისტებს თბილისის პროკურატურაში შესვლამდე განუცხადა.

– დღეს აქ იმის გამო ვარ, რომ დეა იკითხება. მან დედა და ძმა მომიგზავნა და თვითონ არ მოვიდა, ესე იგი შეეშინდა, რაღაცას მალავს, რაღაც იცის და ამიტომ. დედამისმა მითხრა, შენთან შესახვედრად უნდა მოვამზადოო. როცა თამუნასთან ერთად მოდიოდა, მაშინ რატომ არ სჭირდებოდა მომზადება?! – განაცხადა თეონა თამაზაშვილმა.

მისივე თქმით, ადრე თუ გვიან გაიგებენ, რას მალავს დეა კაპანაძე.

ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა კი თქვა, რომ სურს გაიგოს, როგორ მიმდინარეობს ყველა იმ ადამიანის დაკითხვა, რომლებიც მისი მხრიდან იყვნენ მოთხოვნილი.

თამარ ბაჩალიაშვილი 18 ივლისს გაუჩინარდა. ახალგაზრდა პროგრამისტი სათვალთვალო კამერებმა ბოლოს თეთრიწყაროს რაიონში დააფიქსირეს. ის 5-დღიანი ძებნის შემდეგ თეთრიწყაროს ტყესთან საკუთარ მანქანაში გარდაცვლილი იპოვეს.

ბაჩალიაშვილის საქმეზე გამოძიება თავისუფლების უკანონო აღკვეთის მუხლით დაიწყო, შემდეგ კი ბრალდების კვალიფიკაციას თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლი დაემატა.

„საშინელი კაცი იყო, ბიჭი გამოკეტილი ჰყავდა, გოგოებზეც ძალადობდა“

რა მოხდა თერჯოლაში

23 აგვისტოს შვილის თვითმკვლელობამდე მიყვანის ბრალდებით თერჯოლაში მამა დააკავეს.

– ბავშვი ძალადობის მსხვერპლი იყო, მამა მასზე ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად ძალადობდა, – ამის შესახებ თერჯოლაში გარდაცვლილი მოზარდის ნათესავები აცხადებენ.

ისინი დამნაშავის უმკაცრესად დასჯას მოითხოვენ.

მათი თქმით, კაცი შვილებზე ფსიქოლოგიურად ძალადობდა, ბოლო ორი დღე კი 11 წლის მოზარდი ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი გახდა – ის მამას სახლში ჰყავდა ჩაკეტილი და გარეთ არ უშვებდა, რომ მომხდარზე არ ესაუბრა.

– საშინელი კაცი იყო. გოგოებზეც ძალადობდა. ბოლო ორი დღე ბიჭი ჰყავდა გამოკეტილი, გარეთ არ უშვებდა, რომ არ მოეყოლა, რა მოხდა. ორი დღის წინ დამირეკა, დეიდა, ცემას გადავურჩიო, ვუთხარი გამოდი-მეთქი და არა, რომ გამოვიდე, მერე თქვენც გეჩხუბებათო, – განაცხადა ბავშვის დეიდა ია ბოგვერაძემ.

კითხვაზე, თუკი იცოდნენ ძალადობის შესახებ, რა მოიმოქმედეს და რატომ არ დაუძახეს პატრულს, ნათესავები პასუხობენ, რომ მათ მამაკაცთან კონფლიქტი ჰქონდათ და მის სახლში

მისვლას ვერ ახერხებდნენ.

მოგვიანებით ახლობლები ახალ ვერსიაზე ალაპარაკდნენ.

ადგილობრივები არ გამორიცხავენ, რომ მამას შვილი ცემის დროს შემოაკვდა, კვალის დაფარვის მიზნით კი ხეზე ამის შემდეგ ჩამოკიდა.

სოფელში მერიის წარმომადგენლის ფრიდონ კუტალაძის ინფორმაციით, მან ძალადობის შესახებ არ იცოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიციას აცნობებდა. მისი თქმით, მამაკაცს იცნობდა, მაგრამ არ იცოდა, „ოჯახში როგორი იყო“. რწმუნებული პასუხისმგებლობას იმ ადამიანებს აკისრებს, რომლებმაც ინფორმაცია დამალეს.

ბავშვის ბებია მამის მხრიდან ძალადობას ადასტურებს. მისი თქმით, მისი სიძე ძალადობდა როგორც ცოლზე, ასევე ბავშვებზე.

როზა კაპანაძე არ გამორიცხავს, რომ მამას ბავშვი ცემაში შემოაკვდა და შემდეგ ხეზე ჩამოკიდა. ბებია დამნაშავის დასჯას მოითხოვს.

– სცემდა ჩემს შვილს, ვიდრე საბერძნეთში წავიდოდა. პოლიციამ იცოდა, რაც ხდებოდა, მაგრამ წლების წინ სათანადოდ არ იმოქმედეს. მერე შვილებსაც სცემდა, გოგოები გათხოვდნენ და ეს ბიჭი დარჩა. იმ დღეს ბიძასთან იყო და ძალით წაიყვანა სახლში. ბავშვი ითხოვდა, არ გაეშვათ, რადგან ეშინოდა. ჩემს შვილს ფულს სთხოვდა და, როდესაც მან უარი უთხრა, დაემუქრა, რომ შვილის ხმას ვეღარ გაიგებდა. ალბათ, შემოაკვდა ცემაში.

მოვითხოვთ უმკაცრესად დასჯას. ყველამ ყველაფერი იცოდა, მაგრამ მეზობლები ამბობდნენ, რომ მათი ჩხუბი და გაბავება მობეზრდათ, – განაცხადა როზა კაპანაძემ.

კითხვაზე, თუ თვითონ იცოდნენ ძალადობის შესახებ, რატომ არ გამოარიდეს ბავშვი, აცხადებს, რომ მას სიძე შვილიშვილს არ აჩვენებდა, ბავშვი კი არ მიდიოდა, რადგან არ სურდა, მამას ბებიასთან ეჩხუბა.

ლასო აბუთიძის მკვლელობისთვის დაკავებულებს პატიმრობა შეეფარდათ

რაჭაში ლასო აბუთიძის მკვლელობაში ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ. ორი ბრალდებულიდან ერთი ჩადენილ დანაშაულს აღიარებს, მეორე კი ამბობს, რომ კონფლიქტში გამშველებლის როლს ასრულებდა. მას საზოგადოებრივი ადვოკატი იცავს, რომლის თქმითაც, მისი დაცვის ქვეშ მყოფი მსუბუქი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, თუმცა მკაფიოდ ახსოვს, რომ მკვლელობა მას არ ჩაუდენია.

პირი, რომელიც დანაშაულს აღიარებს, ამ ეტაპზე ადვოკატის მომსახურებაზე უარს ამბობს.

შეგახსენებთ, რომ 22 აგვისტოს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში 29 წლის ლასო აბუთიძე მოკლეს.

აბუთიძე მასთან სტუმრად მყოფი გოგონების დაცვას ნასვამი მამაკაცებისგან ცდილობდა.

ქუთაისი-ზესტაფონის გზაზე მიკროავტობუსი მსუბუქ მანქანას დაეჯახა

ქუთაისი-ზესტაფონის ავტომაგისტრალზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.

ავარიის შედეგად დაიმტვრა ორი ავტომობილი. „სპრინტერის“ მარკის მიკროავტობუსი მსუბუქ ავტომობილს დაეჯახა. ავარიის მიზეზი, სავარაუდოდ, სიჩქარის გადაჭარბება გახდა.

შემთხვევის შედეგად დაშავებულები კლინიკაში არიან გადაყვანილი.

მამაკაცს ჯერ 1 მანქანა დაეჯახა, შემდეგ – 3

იგოეთთან ავტობანზე ავარია მოხდა

24 აგვისტოს გორი-იგოეთის მონაკვეთზე მანქანა მამაკაცს დაეჯახა.

ქვეითი ადგილზე დაიღუპა. სასწრაფო დახმარების ბრიგადას იგი უკვე გარდაცვლილი დახვდა.

შემთხვევა შავშვები-ნაწრეტის მონაკვეთზე მოხდა.

ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტზე რამდენიმე მანქანა ფიგურირებს. პოლიციამ 3 ავტომანქანა საჯარიმოზე გადაიყვანა. მძღოლები აცხადებენ, რომ ისინი მხოლოდ ძირს დაცემულ ადამიანს შეეჯახნენ.

წინასწარი ინფორმაციით, ქვეითს, რომელიც გზაზე გადადიოდა, ჯერ ერთი მანქანა შეეჯახა, შემდეგ – 3.

შს სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით მიმდინარეობს.

უკრაინამ დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა

24 აგვისტო უკრაინისათვის განსაკუთრებული დღე იყო. დამოუკიდებელი უკრაინული სახელმწიფო 29 წლის შესრულდა.

აღსანიშნავია, რომ მე-20 საუკუნეში უკრაინამ დამოუკიდებლობა რამდენიმეჯერ გამოაცხადა. პირველად ეს 1918 წლის იანვარში მოხდა, მაგრამ ერთი თვის შემდეგ კიევი რუსულმა წითელმა არმიამ დაიკავა. 1941 წლის 30 ივნისს ლვოვში ბანდერელებმა დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადეს. 24 საათის შემდეგ ბერლინიდან ლვოვში ჩამოსულმა აინზაცკომანდამ დააპატიმრა ამ მთავრობის თითქმის ყველა წევრი პრემიერ სტეცკოს მეთაურობით.

1991 წლის 24 აგვისტოს ავადსახსენებელი გკ ჩპ-ს კრახის შემდეგ უკრაინამ დამოუკიდებლობა კვლავ გამოაცხადა. ამან საბჭოთა იმპერიის არსებობას წერტილი დაუსვა. უკრაინის დამოუკიდებლობაც, მიუხედავად რუსეთის ზეწოლისა, 29 წელს ითვლის.

წლევანდელ 24 აგვისტოს კიევის სამხედრო აღლუმი არ ჩატარებულა. პრეზიდენტმა ზელენსკიმ ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ სამხედრო ტექნიკა საჭიროა ფრონტზე.

კიევში გაიმართა საზეიმო ღონისძიებები. ზელენსკიმ და მისმა ცოლმა ხსოვნის კედელთან ყვავილები დააწყვეს. მიტინგზე გამოსვლისას ზელენსკიმ განაცხადა:

– ჩვენ ვაშენებთ ქვეყანას, რომელიც ნებისმიერ გამოწვევას უნდა გაუმკლავდეს, სულ ერთია, ეს რუსეთის აგრესია იქნება, კორონავირუსი თუ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი!

მიტინგის შემდეგ საზეიმო კონცერტი გაიმართა. მაყურებელთა წინაშე უკრაინული ესტრადის ვარსკვლავები წარდგნენ. გაისმოდა პოპულარული უკრაინული სიმღერები.

ლუკაშენკომ რეპრესიები დაიწყო



ბელარუსის პრეზიდენტმა ლუკაშენკომ რეპრესიები დაიწყო. მინსკში ოპოზიციის საკოორდინაციო შტაბის ორი წევრი – ოლგა კოვალკოვა და სარგეი დიშევსკი დააკავეს. მილიციამ ისინი მაშინ აიყვანა, როცა მინსკის ერთ-ერთი ქარხნის მუშებთან შეხვედრაზე მიიჩქაროდნენ. ორივეს ბრალად ედება მასობრივი არასანქცირებული მიტინგების მოწყობა.

ლუკაშენკოს რეჟიმი მარტოოდენ ამ ორი დაკავებით არ დაკმაყოფილდა. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, ბელარუსის საგამოძიებო კომიტეტში დაიბარეს გამოჩენილი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი სვეტლანა ალექსიევიჩი. ის ოპოზიციის საკოორდინაციო შტაბის პრეზიდიუმის წევრია. ბელარუსის ხელისუფლება მას ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას სდებს ბრალად.

მიუხედავად ამისა, ბელარუსები საპროტესტო აქციებზე მაინც გამოდიან. მინსკში დამოუკიდებლობის მოედანზე მოქალაქეთა ჯგუფმა მიტინგის გამართვა ცადა. ომონმა ამის საშუალება არ მისცა. დაკავებულია რამდენიმე მანიფესტანტი.

დიმიტრი კულება: „კიევის მაიდანი ბელარუსული აქციებისაგან დიდად განსხვავდება!“

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განაცხადა, რომ ბელარუსში მოვლენები უკრაინული სცენარით ვითარდება. მან მინსკის აქციები შეადარა კიევის მაიდანს. უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი კულება ამას არ დაეთანხმა.

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ კიევში ხალხი არა მხოლოდ მმართველი ელიტის, არამედ უკრაინის საგარეო კურსის ძირეულად შეცვლას მოითხოვდა. ხალხი ქუჩაში იანუკოვიჩის პრორუსულმა კურსმა გამოიყვანა. ამას გარდა, მაიდანი თავიდანვე მკვეთრად გამოხატულ ანტიიმპერიულ ხასიათს ატარებდა. საქმე მხოლოდ ის როდია, რომ როგორც უკრაინული, ასევე ევროკავშირისა და ნატოს დროშები გამოიტანეს. იქ იყო ბანდერას, პეტლიურას, შუხევიჩის პორტრეტებიც. გაისმოდა ანტიიმპერიული ლოზუნგები.

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის სიტყვები ბელარუსული ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა მარია კოლესნიკოვამაც დაადასტურა. მან აღნიშნა, რომ ბელარუსები არც ევროკავშირში, არც ნატოში შესვლას არ მოითხოვენ. მეტიც, მათ რუსეთთან კავშირის გაწყვეტა არ სურთ.

კოლესნიკოვას აზრით, უკრაინაში მოხდა რევოლუცია ანუ არსებული რეჟიმი ძალით დაამხეს, ბელარუსებს კი ევოლუცია სურთ და არა – რევოლუცია. ამიტომაც მინსკში არც მოლოტოვის კოქტეილებს იყენებენ, არც ადმინისტრაციულ შენობებს იკავებენ.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი კიევში ჩავიდა

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი მაასი კიევში ჩავიდა. ის თავის უკრაინელ კოლეგა დიმიტრო კულებას შეხვდა. მოლაპარაკების ძირითადი თემა დონბასის კონფლიქტის დარეგულირება იყო.

მაასმა განაცხადა, რომ ნორმანდიული ოთხეული, შესაძლოა, უკვე სექტემბერში შეიკრიბოს. გერმანელმა მინისტრმა აღნიშნა, რომ მანამდე უნდა შეთანხმებულ იქნეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა რუსეთ-უკრაინის საზღვარზე უკრაინის კონტროლის აღდგენა, დონბასში ადგილობრივი არჩევნების ჩატარება და შტაინმაიერის ფორმულის ამოქმედება.

კულებამ, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ უკრაინა გონიერი კომპრომისისათვის მზადაა, მაგრამ არჩევნების ჩატარებას მხოლოდ მას შემდეგ დაჰყაბულდება, როცა რუსეთ-უკრაინის საზღვრის დონბასის მონაკვეთზე უკრაინის კონტროლი აღდგება.

– დონბასის კონფლიქტის გასაღები რუსეთს უდევს ჯიბეში! სანამ მოსკოვში ჭეშმარიტი მშვიდობის დამყარებას არ მოისურვებენ, ომი არ დამთავრდება! – ამბობს კულება.

რონალდინიოს ბრალი მოუხსნეს

პარაგვაის პოლიციამ ბრაზილიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი რონალდინიო და მისი ძმა, რობერტო დე ასისი, შინაპატიმრობიდან გაათავისუფლა და მათ ბრაზილიაში დაბრუნება შეუძლიათ.

რონალდინიო და მისი ძმა პარაგვაიში ყალბი საბუთებით გადაკვეთის გამო დააკავეს. არადა, ფეხბურთელი იქ 5 მარტს ადგილობრივ ბიზნესმენ დალია ლოპესის მიწვევით ჩავიდა. ბრაზილიელ ვარსკვლავს ერთ-ერთი კაზინოს გახსნასა და საბავშვო აქციაში უნდა მიეღო მონაწილეობა. ფეხბურთელის დაკავებისთანავე მისი პარაგვაიში დამპატიჟებელი ლოპესი მიიმალა. მასზე უკვე თვეებია, დაჭერის სანქციაა გაცემული და საერთაშორისო მასშტაბით ეძებენ.

ძმებმა პარაგვაის საზღვრის ყალბი პასპორტით გადაკვეთის ბრალდება აღიარეს, რის შემდეგაც შესაბამისი ოდენობის გირაოც გადაიხადეს: რონალდინიომ – 90.000 დოლარი, ხოლო რობერტომ – 110.000.

გარდა ამისა, ვეტერან ფეხბურთელს პარაგვაიში ნასამართლობა მოეხსნა, მის ძმას – არა. ასევე, ასისს მომდევნო 2 წლის განმავლობაში ბრაზილიის დატოვება აეკრძალა და პერიოდულად რიო დე ჟანეიროს პოლიციაში უნდა გამოცხადდეს, მაშინ, როცა რონალდინიოს ბრაზილიიდან გამგზავრებაც შეეძლება, მაგრამ მოგზაურობის ვადების შესახებ შესაბამის ორგანოს წინასწარ უნდა აცნობოს.

შეგახსენებთ, რომ დაკავების შემდეგ ძმებმა 32 დღე ასუნსიონის ერთ-ერთ ციხეში გაატარეს, იქიდან კი გირაოს სანაცვლოდ გამოუშვეს და ქალაქის ერთ-ერთ მდიდრულ სასტუმროში შინაპატიმრობაში გადაიყვანეს. აღნიშნული გირაოს თანხა 1.2 მილიონი ბრიტანული გირვანქა სტერლინგი გახლდათ.

საერთო ჯამში, რონალდინიომ და მისმა ძმამ პარაგვაიში იძულებითი წესით თითქმის 6 თვე გაატარეს.

შარიტეს კლინიკა: „ნავალნი მოწამლეს!“

როგორც ცნობილია, რუსული დემოკრატიული ოპოზიციის ლიდერი ნავალნი კომაში ჩავარდა. რუსი ექიმები ამტკიცებდნენ, რომ ნავალნის ნივთიერებათა ცვლის მოშლა აქვს. ოპოზიციონერის ახლობლების აზრით, ნავალნი მოწამლულია. ნავალნის ახლობლების დაჟინებითი მოთხოვნის შედეგად რუსეთის მთავრობა ნავალნის გერმანიაში სამკურნალოდ გაგზავნას დასთანხმდა. ოპოზიციონერი შარიტეს განთქმულ კლინიკაში მოათავსეს.

თანახმად გერმანელი ექიმების დიაგნოზისა, ნავალნი ძლიერმოქმედი შხამით არის მოწამლული. ამის თაობაზე შარიტეს კლინიკამ სპეციალური განცხადება გაავრცელა. ამრიგად, ნავალნის ახლობლების პროგნოზი გამართლდა. რუსი ოპოზიციონერი მოწამლულია. ამან მთელ მსოფლიოში გამსკდარი ბომბის ეფექტი იქონია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ტრამპი პრეზიდენტობის კანდიდატი ოფიციალურად გახდა

აშშ-ის ქალაქ შარლოტში რესპუბლიკური პარტიის ყრილობა გაიმართა. დონალდ ტრამპი მომავალ არჩევნებზე პრეზიდენტობის კანდიდატად ოფიციალურად წარადგინეს. ვიცეპრეზიდენტი მაიკ პენსკი ასევე ნომინირებულია ვიცეპრეზიდენტის პოსტზე.

– საპრეზიდენტო არჩევნები ამა წლის ნოემბერში გაიმართება, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

თანახმად უკანასკნელი სოციოლოგიური გამოკითხვებისა, ჯო ბაიდენი დამაჯერებლად ლიდერობს. ის ტრამპს 8-10%-ით უსწრებს. ტრამპს, როგორც ჩანს, ეს აშფოთებს. მან რესპუბლიკური პარტიის ყრილობას ვიდეომიმართვა გაუგზავნა. მასზე აღბეჭდილი იყვნენ ტრამპი და ტერორისტების ტყვეობიდან გათავისუფლებული რამდენიმე მძევალი.

– ჩვენ ამერიკელებს მთელ მსოფლიოში დავიცავთ! – თქვა ტრამპმა.

საზოგადოება

წინამძღვრიანთკარში მდებარე ისტორიული კოლეჯის რეაბილიტაცია იწყება

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად 1877 წლით დათარიღებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის – წინამძღვრიანთკარში მდებარე პროფესიული კოლეჯის რეაბილიტაციას იწყებს. შენობა დაიბრუნებს პირვანდელ სახეს და მასში განთავსდება საკონფერენციო და სამუზეუმო დარბაზები, პირველ სართულზე არსებულ უძველეს მარანში მოეწყობა სამუზეუმო სივრცეები და ტექნოლოგიური ლაბორატორიები.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებულ შალვა კერესელიძესთან ერთად ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს ესტუმრა, დაათვალიერა ისტორიული ძეგლი და დაგეგმილ სარეაბილიტაციო პროექტს გაეცნო.

1883 წელს ილია წინამძღვრიშვილმა წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან თანამშრომლობით საკუთარ მამულში დააარსა პირველი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი ქართულ ენაზე, სადაც სტუდენტები მთელი საქართველოს მასშტაბით იყრიდნენ თავს. დაარსების დღიდან ტექნიკუმში დაიწყო ისეთი მიმართულებების სწავლება, როგორებიცაა მებაღეობა, მევენახეობა, მეტყევეობა, მეაბრეშუმეობა, მეღვინეობა და მეფუტკრეობა. ტექნიკუმში სწავლება მოიცავდა როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტს და ის საქართველოში პირველ და ევროპაში ერთ-ერთ უძველეს პროფესიული განათლების კერად მიიჩნევა.

საქართველოს პირველი პროფესიული სასწავლებლის ადგილზე მოქმედი ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი განავითარებს იმ პროფესიულ პროგრამებს, რომლებიც თავის დროზე ტექნიკუმის ბაზაზე ხორციელდებოდა. მიმდინარე პერიოდში კოლეჯს 17 პროფესიულ პროგრამაზე აქვს სტუდენტთა მიღება გამოცხადებული, რომელთაგან 13 სოფლის მეურნეობის პროგრამაა. აღნიშნული პროგრამებიდან 5 დუალურია, სადაც სტუდენტებს, თეორიული სწავლების პარალელურად, რეალურ სამუშაო გარემოში სწავლებისა და პრაქტიკული სამუშაო გამოცდილების მიღების შესაძლებლობა ეძლევათ.

„დიდი სცენის“ გამარჯვებული ლევან ყანდიაშვილი გახდა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

3000-ლარიანი ვაუჩერი აჩუქა, ავეჯის სახლმა „ნიტამ“ კი 5000-ლარიანი ვაუჩერით დააჯილდოვა.

მეორე ადგილზე გასული გიორგი ფუტკარაძე სენა აუტოსგან კორეული პრემიუმ ბრენდის ქროსოვერი სანგიონგ ტივოლით დაჯილდოვდა.

მესამე ადგილზე გასულმა მემე ჟორდანიამ „მიფასის“ 3500-ლარიანი ვაუჩერი მიიღო. მემე გახდა რადიო „ფორტუნას“ რჩეული. მას პრიზად ერგო სიმღერის ჩაწერა და 1 წლის განმავლობაში ამ სიმღერის პრომოუშენი, ასევე ერთკვირიანი საგზური კაჭრეთის ამბასადორში ორ პერსონაზე.

რადიო „ფორტუნას“ რჩეული ასევე გახდა ცოტნე ბარბაქაძე და მან სასტუმრო „კოლიზეუმის“ ვაუჩერი დაიმსახურა.

პსპ-ს აფთიაქების ქსელმა ფინალისტებს საჩუქრად გადასცა „შურის“ ბრენდის პროფესიონალური მიკროფონები, „ვულე ვუმ“ დაასაჩუქრა ყველა – ჟიურის წევრები, წამყვანები და ყველა კონკურსანტი.

სამივე ფინალისტმა საჩუქრად მიიღო თმის მოვლის საშუალებების ნაკრები, ხოლო რჩეული ლევან ყანდიაშვილი დამატებით ერთწლიანი მომსახურების ვაუჩერით დასაჩუქრდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სპორტი

შედეგები

24 აგვისტო
ფეხბურთი

საფრანგეთი. ლიგა 2
ტრუა-ლე ავრი 2:0

ბელგია. ა დივიზიონი
სტ.ტრუიდენი-ოსტენდე 0:0

პოლონეთი. ექსტრაკლასა
იაგელონია-ვისლა 1:1

შვედეთი. ალსვენსკა
კალმარი-მიალბი 1:4
ნორჩიოპინგი-ჰაკენი 0:1

ნორვეგია. ელიტსერია
სტაბეკი-ბრანი 0:2

ვლადიმირ ვაისი ერთა ლიგას დანაკლისით ხვდება

საქართველოს ნაკრებს სექტემბერში უეფას ერთა ლიგის 2020-21 წლების გათამაშებაში ორი მატჩის გამართვა უწევს. ვლადიმირ ვაისის გუნდმა ც დივიზიონის მე-2 ჯგუფში 5 სექტემბერს სტუმრად ესტონეთთან უნდა ითამაშოს, 8 სექტემბერს კი შინ ჩრდილოეთ მაკედონია უნდა მიიღოს.

შეგახსენებთ, ეს ერთა ლიგის მე-2 გათამაშებაა. საქართველოს საფეხბურთო ნაკრები დ ლიგაში წარმატებული ასპარეზობის შემდეგ ც ლიგაში აღზევდა და მატჩებს მიმდინარე წლის 5 სექტემბრიდან 18 ნოემბრის ჩათვლით გამართავს.

ამასობაში ფიფამ დროებითი წესები შემოიღო, რომლებიც არცთუ კარგი იქნება ეროვნული გუნდებისთვის. ახალი წესები სექტემბერში გასამართ საერთაშორისო შეხვედრებს შეეხება – მამაკაცთა შორის 31 აგვისტოდან 8 სექტემბრამდე პერიოდში იმოქმედებს, ხოლო ქალთა ფეხბურთში – 14-დან 22 სექტემბრამდე.

ახალი წესების თანახმად, კლუბს უფლება ეძლევა, არ გაუშვას ფეხბურთელი ნაკრებში, თუკი იმ ტერიტორიაზე, სადაც კლუბია ბაზირებული ან სანაკრებო მატჩი უნდა ჩატარდეს, დაწესებულია სავალდებულო კარანტინი არანაკლებ 5-დღიანი პერიოდით, ასევე, თუკი არსებობს შესვლა-გასვლაზე შეზღუდვა.

კლუბს ასევე აქვს უფლება, არ გაუშვას ფეხბურთელები ნაკრებებში, თუკი მათთვის არ არის დაშვებული გამონაკლისი შესაბამისი ორგანოების მხრიდან, რომლებიც რეგიონში სავალდებულო კარანტინისა თუ შესვლის შეზღუდვის თაობაზე გადაწყვეტილებებს იღებენ.

ფიფას გადაწყვეტილების მიზეზი კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულ სიტუაციასა და მსოფლიოში დაავადების შემთხვევების მატებას უკავშირდება.

ამ მიზეზით ერთა ლიგის ახალი გათამაშების აღნიშნულ 2 შეხვედრას ამერიკის საფეხბურთო ლიგის სან ხოსე ერთქვეიქსის ქართველი ლეგიონერები გურამ კაშია და ვაკო ყაზაიშვილი გამოტოვებენ. ცხადია, მიზეზი პანდემიის გამო დაწესებული სამოგზაურო და საკარანტინო რეგულაციებია. კლუბთან შეთანხმების შედეგად გადაწყდა, რომ ორივე ფეხბურთელი ოქტომბერში დაგეგმილ ფლეი ოფის პრინციპულ შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას.

ერთა ლიგის სადებიუტო 2 მატჩისთვის საქართველოს ნაკრები 31 აგვისტოს დაიწყებს მზადებას. ვლადიმირ ვაისმა ესტონეთთან და ჩრდილოეთ მაკედონიასთან დაგეგმილი მატჩებისთვის 27 ფეხბურთელი გამოიძახა.

ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში 2 დებიუტანტია: თბილისის დინამოს ნახევარმცველი გიორგი კუცია და საბურთალოს მცველი ნიკა მალი.

ვლადიმირ ვაისმა ნაკრების შემადგენლობაში შემდეგ ფეხბურთელებს უხმო:

მეკარეები: გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მაკარიძე (სეტუბალი, პორტუგალია), ლაზარე კუპატაძე (საბურთალო);

მცველები: ოთარ კაკაბაძე (ლუცერნი, შვეიცარია), დავით ხოჭოლავა (შახტარი, უკრაინა), გია გრიგალავა (არსენალი, რუსეთი), ჯიმი ტაბიძე (უფა, რუსეთი), სოლომონ კვერკველია (როტორი, რუსეთი), ლაშა დვალი (ფერენცვაროში, უნგრეთი), ნიკა მალი (საბურთალო), გიორგი ნავალოვსკი (დინამო ბთ);

ნახევარმცველები: ჯაბა კანკავა, ნიკა კვეკვესკირი (ორივე ტობოლი, ყაზახეთი), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), ვაკო გვილია (ლეგია, პოლონეთი), გიორგი ჩაკვეტაძე (გენტი, ბელგია), გიორგი აბურჯანია (ტვენტე, ნიდერლანდები), მურთაზ დაუშვილი (ანორთოსისი, კვიპროსი), ლევან შენგელია (ქონიასპორი, თურქეთი), საბა ლობჟანიძე (ანკარაგუჯიუ, თურქეთი), ხვიჩა კვარაცხელია (რუბინი, რუსეთი), ზურიკო დავითაშვილი (როტორი, რუსეთი), გიორგი კუცია (დინამო თბ), ჯაბა ჯიღაური (დინამო ბთ);

თავდამსხმელები: გიორგი ქვილითაია (გენტი, ბელგია), თორნიკე ოქრიაშვილი, ნიკა კაჭარავა (ორივე ანორთოსისი, კვიპროსი);

ცნობილია დამატებით 9 ფეხბურთელის ვინაობა, რომლებსაც ვლადიმირ ვაისი ეროვნული ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში განიხილავს:

როინ კვასხვაძე, დავით კობოური (ორივე დინამო, თბ), ლაშა პარუნაშვილი (ესბიერგი, დანია), გიორგი მერებაშვილი (პლოცკი, პოლონეთი), ვახტანგ ჭანტურიშვილი (ზლინი, ჩეხეთი), ბუდუ ზივზივაძე (ფეჰერვარი, უნგრეთი), ლევან კუტალია (ჰაპოელი ისრაელი), ელგუჯა ლობჟანიძე (ქაისარი, ყაზახეთი), ბაჩანა არაბული (პანიონისი, საბერძნეთი).

ვაისის კრებული 31 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით საფეხბურთო კლუბ ზესტაფონის თბილისის ზღვის საწვრთნელ ბაზაზე ივარჯიშებს. 4 სექტემბერს ჩვენი გუნდი ტალინში გაემგზავრება, მეორე დღეს კი ესტონეთს 20:00 საათზე ეთამაშება. ერთა ლიგის მეორე შეხვედრა საქართველოსა და ჩრდილოეთ მაკედონიას შორის 8 სექტემბერს, ასევე 20:00 საათზე შედგება.

უეფას გადაწყვეტილებით, სექტემბერში დაგეგმილი ყველა სანაკრებო მატჩი მაყურებლის გარეშე ჩატარდება.

რონალდ კუმანი: „მესისთან ერთად ყველაფერი მარტივია“

ბარსელონის ახალმა მწვრთნელმა რონალდ კუმანმა თავის საფეხბურთო ფილოსოფიაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მასზე ყველაზე დიდი გავლენა იოჰან კრუიფმა მოახდინა. კუმანს „კამპ ნოუზე“ ლამაზი ფეხბურთის დაბრუნება სურს.

კუმანმა ასევე ისაუბრა ლიონელ მესისა და ფრენკი დე იონგზე. პირველი წარუმატებელი სეზონის შემდეგ ყველა ელის, რომ ფრენკი თანამემამულის ხელში ათამაშდება.

– რას იტყვით ბარსელონაზე?

– ბარსელონა ჩემთვის სახლია. ყოველთვის, როცა სხვა ქალაქში ვიმყოფებოდი, რაღაც მაკლდა, ახლა აქ მუშაობა დავიწყე, საყვარელ ქალაქს დავუბრუნდი და თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. მნიშვნელოვანია იმის აღქმა, რომ ჩვენ მსოფლიოს საუკეთესო კლუბი ვართ. იყო პრობლემები, მაგრამ ეს უკვე წარსულშია. თითოეულ ფეხბურთელს უნდა ესმოდეს, რომ საუკეთესო კლუბში თამაშობს.

– თქვენს საფეხბურთო ფილოსოფიას კრუიფის გავლენა ეტყობა?

– კრუიფისგან უამრავი რამ ვისწავლე, განსაკუთრებით ჩვენი თანამშრომლობის პერიოდში, როცა „დრიმ თიმის“ ნაწილი ვიყავი. მისგან ვისწავლე, როგორ უნდა ვყოფილიყავი უკეთესი ფეხბურთელი, შემდგომ კი – უკეთესი მწვრთნელი. საუკეთესო კომბინაცია გვქონდა, ლამაზი ფეხბურთი და ტიტულები. ამ ფილოსოფიისთვის არასდროს გვიღალატია, აუცილებლად უნდა გვეთამაშა ისე, რომ ფანების სიამოვნება მიეღოთ და, ამავე დროს, მუდმივად მოგებაზე უნდა გვეფიქრა.

– როგორია თავად კუმანი მწვრთნელის ამპლუაში?

– მიყვარს, როცა გუნდი დისციპლინირებულია და კარგად არის ორგანიზებული, ასევე, როგორც ნიდერლანდელების უმეტესობას, დომინანტური და შემტევი ფეხბურთი მიყვარს. უპირატესობას ვანიჭებ იმ მწვრთნელებს, რომლებსაც ფეხბურთელებთან მუდმივი კონტაქტი აქვთ. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, მათ რა აწუხებთ. ასე მუშაობა გაცილებით მარტივი ხდება. მიმაჩნია, რომ კარგი მწვრთნელი ფეხბურთისგან სიამოვნებას უნდა იღებდეს. ამ სპორტში იმიტომ ვართ, რომ გვიყვარს ეს საქმე. ყველაფერი გაცილებით უკეთესია, როცა სამუშაოს ღიმილით ასრულებ.

– რას იტყვით ფრენკი დე იონგზე, რომელსაც ბარსელონაში პირველი სეზონი არ გამოუვიდა?

– ის მომავლის ფეხბურთელია, ჯერ ახალგაზრდაა და თავის წარმოჩენას აუცილებლად შეძლებს. არ არის მარტივი, ამხელა კლუბში მოხვიდე და პირველივე სეზონში ლიდერად იქცე.

– გუნდში გეყოლებათ ლეო მესი, მაგრამ საუბრობენ მის წასვლაზეც.

– მესის გუნდში ყოლა პრივილეგია და დიდი პატივია. მასთან ერთად ყველაფერი გაცილებით მარტივია. ვერც ჯარიმების შესრულებაში შევედრები. ის გაცილებით მეტს იტანს, ვიდრე მე, თუმცა მე მხოლოდ 6 წელი ვიყავი ბარსელონაში... კარგია, როცა გუნდში გყავს ასეთი ჯარიმების შემსრულებელი. ეს დამატებითი უპირატესობაა.

– თქვენი ჯარიმით ბარსელონამ ჩემპიონთა თასი მოიგო. გახსოვთ ის გოლი ფინალში?

– „სამპდორიასთან“ დამატებით დროში ზუსტად ვიცოდი, სად უნდა დამერტყა, დარტყმის წინ კი მქონდა გრძნობა, რომ აუცილებლად გავიტანდი.

– საკუთარ ოჯახზე რას იტყვით?

– მამაჩემი მკაცრი ადამიანი იყო. სწორედ მისგან ვისწავლე დისციპლინა და მან მომცა შანსი, ფეხბურთი მეთამაშა, მასწავლა სხვისი დაფასება და პატივისცემა. სწორედ ჩემმა ოჯახმა მითხრა, რომ ფეხბურთისთვის ვიყავი დაბადებული. ფეხბურთელი დიდ ყურადღებას იქცევს, მაგრამ შენ მოედანზე უნდა იყო ვარსკვლავი და არა მის მიღმა. მიყვარს, როცა დროს ოჯახთან ერთად ვატარებ. მე უკვე ბაბუა ვარ და შვილიშვილებთან ერთად გატარებულ დროს ვერაფერი შეედრება.

ბელარუსი ერთა თასისთვის ემზადება

საქართველოს საფეხბურთო ნაკრები ერთა ლიგის ახალ გათამაშებას კი იწყებს, მაგრამ უმთავრესი ყურადღება ჯერ კიდევ დაუმთავრებელი, პირველი გათამაშების დასკვნით ნაწილზე აქვს გადატანილი. როგორც მოგეხსენებათ, ვლადიმირ ვაისის გუნდი ოქტომბერში ფლეი ოფის მატჩებს გამართავს და ევროპის ჩემპიონატის საგზურისთვის იბრძოლებს. პირველი მეტოქე ბელარუსია, რომელიც, ჩვენების მსგავსად, ერთა ლიგის ახალ გათამაშებას სექტემბერში იწყებს.

ბელარუსის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მიხაილ მარხელმა ერთა ლიგის 2 უახლოესი მატჩისთვის შემადგენლობა დაასახელა. 4 სექტემბერს ბელარუსები ალბანეთს უმასპინძლებენ, ხოლო 7 სექტემბერს სტუმრად ეთამაშებიან ყაზახეთს.

მარხელის რჩეულები არიან:

მეკარეები: ალექსანდრ გუტორი (შახტიორი), ეგორ ხატკევიჩი (ისლოჩი), სერგეი იგნატოვიჩი (დინამო ბრ);

მცველები: ალექსანდრ მარტინოვიჩი (კრასნოდარი, რუსეთი), მაქსიმ ბორდაჩოვი (ჟოდინო), ალექსანდრ სოჩივკო (შახტიორი), ნიკოლაი ზოლოტოვი (ურალი, რუსეთი), მაქსიმ შვეცოვი (დინამო მნ), ნიკიტა ნაუმოვი (ჟეტისუ, ყაზახეთი), რომან იუზეპჩუკი (დინამო ბო), ალექსეი ლეგჩილინი (ნემანი);

ნახევარმცველები: სტანისლავ დრაგუნი, იგორ სტასევიჩი, პაველ ნეხაიჩიკი, ევგენი იაბლონსკი (ყველა ბატე), მაქს ებონგი (ასტანა, ყაზახეთი), იური კოვალიოვი (არსენალი, რუსეთი), ივან ბახარი (დინამო მნ), დმიტრი პოდსტრელოვი, ალექსანდრ სალიავა (ორივე შახტიორი), ანდრეი ხაჩატურიანი (ჟოდინო);

თავდამსხმელები: მაქსიმ სკავიში (ბატე), ვიტალი ლისაკოვიჩი (ლოკომოტივი, რუსეთი)

სიაში არ არის ახალგაზრდა ფორვარდი ილია შკურინი, რომელიც ახლა ცსკაშია და ბელარუსში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო ეროვნულ გუნდში თამაშზე უარს ამბობს.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

რუსეთს მსოფლიო თასის მასპინძლობა სურს

რაგბიში 2027 წლის მსოფლიო თასის მასპინძელი ქვეყნის ვინაობა 2022 წლის მაისში უნდა გახდეს ცნობილი. სადღეისო მონაცემებით, მასპინძლობისთვის სურვილი რუსეთსა და ავსტრალიას აქვთ. დიდი ალბათობით, მთავარი ბრძოლა სწორედ ამ 2 ქვეყანას შორის გაიმართება.

ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა რუსეთის არაოფიციალური სამასპინძლო მოდელი, სადაც არაერთი სიახლეა:

მაგალითად, 20-დან 24-მდეა გაზრდილი ტურნირში მონაწილე გუნდების რაოდენობა, 4 ხუთგუნდიანი ჯგუფის ნაცვლად ახალ მოდელში 6 ოთხგუნდიანი ჯგუფია, ფლეი ოფის ეტაპი კი მეთექვსმეტედფინალიდან დაიწყება. თუ ამჟამად ტურნირი 48 მატჩს მოიცავს, ახალი მოდელით 52 შეხვედრა ჩატარდება. ერთია, გაზრდილი მატჩების რაოდენობის გამო ტურნირისთვის განკუთვნილი დროის გაზრდა საჭირო არ იქნება.

საერთო ჯამში, რუსები მსოფლიო თასის მასპინძლობას 13 ქალაქის 14 სტადიონზე გეგმავენ, სადაც მათი საშუალო ტევადობა 47.289 იქნება. ცნობისთვის, 2003 წელს ავსტრალიაში გამართულ მსოფლიო თასზე ტრიბუნათა საშუალო ტევადობა 38.282 იყო, ხოლო 2019 წლის იაპონიის მსოფლიო თასზე – 37.745.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ქარის მიმართულებისა და სიჩქარის განმსაზღვრელი ხელსაწყო; 2. სატანავარჯიშო სკოლა ძველ საბერძნეთში; 3. მთავარი პარტიების შემსრულებელი მომღერალი ქალი ოპერაში; 4. ტრამვაის მძღოლი; 5. სპორტის სათამაშო სახეობა; 10. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 11. ჩქარტემპიანი ესპანური ცეკვა გიტარისა და კასტანიეტების თანხლებით; 12. ალუმინის შემცველი მადანი; 13. ცნობილი უკრაინელი ფეხბურთელი; 16. ლატვიის ისტორიული სახელწოდება; 17. საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 19. ნადირთა მფარველი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 21. ფრანგული მინერალური წყალი; 23. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა.

თარაზულად: 6. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 7. ორლოპოტიანი ნიჩბებით სამართავი სპორტული ნავი; 8. შტატი აშშ-ში; 9. ტყავის დამამუშავებელი საამქრო ძველად საქართველოში; 14. ჩეჩნების, ინგუშების საერთო სახელწოდება ძველად საქართველოში; 15. ორკუზიანი აქლემი; 18. ბაღჩეული ხილი; 20. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ფირმა საქართველოში; 22. სან-რემოს კინოფესტივალის გრან-პრის მფლობელი აბულაძის მხატვრული ფილმი; 24. რუსეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი მამაკაცი; 25. ვინმეს ან რაიმეს მიმართ გადაჭარბებული თაყვანისცემა; 26. სახელმწიფო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პინო; 2. პუარო; 3. ოპეკი; 5. ხუცური; 6. თეოლოგია; 9. უსახელაური; 10. ბალანჩინი; 11. იეროგლიფი; 14. კია; 16. სესილი; 18. კიტო.

თარაზულად: 1. პომპეო; 4. აფხაზეთი; 7. ჩაფიძე; 8. კონფუცი; 12. კაფია; 13. სკლერა; 15. საღამო; 17. პაი; 19. ლეიკოციტები; 21. ბონუსი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. არჩვაძე; 2. სოლოლაკი; 3. სტრუქტურა; 4. მორავია; 5. კაზუისტიკა; 10. უშქარი; 11. სტადიონი; 12. კოსმოსი; 13. ფლორიდა; 16. ჯამბაზები; 17. ლილახანა; 19. ანტიგონე; 21. თრუსო; 23. შახტი.

თარაზულად: 6. ტრიფოლიატი; 7. ჭორვილა; 8. შანელი; 9. აქილევსი; 14. კლაკიორი; 15. კოსმეტიკა; 18. შონია; 20. ლიკეუმი; 22. კაშხალი; 24. ტრიერი; 25. რეფლექსი; 26. კიტონი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

26 აგვისტო

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0743	ევრო — 3.6366
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0313	100 რუსული რუბლი — 4.1383

ამინდის პროგნოზი 26 აგვისტოსათვის

ტუჰელი, შესაძლოა, პსჟ-დან გაუშვან

ტომას ტუჰელი, შესაძლოა, პსჟ-დან დაითხოვონ, მიუხედავად იმისა, რომ პარიზელები ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდნენ.

პსჟ-ს ხელმძღვანელობა არ მიიჩნევს ამ შედეგს წარმატებად და უკმაყოფილოა მარცხით ბაიერნთან. პსჟ-ს ხელმძღვანელობას დიდი ხანია სურს ჩემპიონთა ლიგის მოგება და ის მხოლოდ ამ შედეგით იქნება კმაყოფილი.

რამდენიმე დღეში ტუჰელი პსჟ-ს ხელმძღვანელობას შეხვდება და მისი ბედი სწორედ იქ გადაწყდება.

იურგენ კლოპი: „ბაიერნი შესანიშნავი გუნდია“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა მიუნხენის ბაიერნი შეაქო და თქვა, რომ მან დამსახურებულად მოიგო ჩემპიონთა ლიგა.

კლოპის აზრით, ბაიერნი ამჟამად ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია:

– ბაიერნი ძალიან ძლიერია და მათ ეს ფინალშიც დაამტკიცეს, თუმცა პსჟ-მ თავისი შანსები ვერ გამოიყენა. ბაიერნი ამჟამად ევროპაში საუკეთესოა და მისი წარმატება მიხარია. იმედი მაქვს, მომავალ წელს ლივერპული ჩემპიონთა ლიგაში ისევ გაიმარჯვებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

კიმ კარდაშიანის ახალ ფოტოსურათს თაყვანისმცემლები კრიტიკით შეხვდნენ

ამერიკელმა მოდელმა და მეწარმე კიმ კარდაშიანმა საკუთარი საცვლების მწარმოებელი ბრენდის Skims-ის მიმართ თავისი თაყვანისმცემლების ყურადღების მიპყრობა სოციალურ ქსელში საკუთარი ეროტიკული ფოტოსურათის განთავსებით ცადა, შედეგად კი კრიტიკა და შეურაცხყოფა დაიმსახურა.

ერთ-ერთ გამოქვეყნებულ ფოტოზე 39 წლის ტელევარსკვლავი ახალი კოლექციის ერთ-ერთი ნიმუშითაა აღბეჭდილი, რომელიც დამოკლებული მაისურისა და ნაცრისფერ-ცისფერი ტრუსისგან შედგება. ფოტოსურათისთვის თანდართულ კომენტარში კარდაშიანმა აღნიშნა, რომ ეს კოლექცია მისთვის ერთ-ერთი უსაყვარლესია.

თაყვანისმცემლებმა საკუთარ კომენტარებში ტელევარსკვლავის მისამართით კრიტიკა არ დაიშურეს.

– კიმ, როდის დაიწყებ ქალბატონივით მოქცევას? უტანსაცმლოდ შენი ფოტოსურათები უკვე ყელში ამოვიდა, აღარავის აინტერესებ, – დაწერა ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა.

– ის ყველა ფოტოსურათში საკუთარ მუცელს ფოტოშოპით ფარავს, – აღნიშნა მეორე თაყვანისმცემელმა.

– შენ ხომ ოთხი შვილი გყავს, იაფფასიანად რატომ გამოიყურები? – დაწერა მესამე ხელმომწერმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

26 აგვისტოსათვის

ვერძი – თქვენს დიპლომატიასა და გამჭრიახობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. სამომავლო გეგმებს ნუ დასახავთ. **კურო** – თამამად გარისკეთ. წარმატებული და იღბლიანი დღეა. ენას კბილი დააჭირეთ. **ტყუპები** – ნებისმიერი მნიშვნელოვანი საქმის მოგვარება ხელგეწიფებათ. რისკი გამართლებულია. **კირჩხიბი** – თუ რამე ჩაიფიქრეთ, უთუოდ შეასრულეთ. ხელს ვერაფერი შეგიშლით. ახლობლებს მეტი ყურადღება მიაქციეთ და მოეფერეთ. **ლომი** – უფრო მოკრძალებული და თავდაჭერილი უნდა იყოთ. გახსოვდეთ, რომ ფშუტე თავთავი თავს მაღლა სწევს, მძიმე თავთავი კი თავდახრილია. **ქალწული** – ნუ დაგავიწყდებათ მადლიერების გამოხატვა იმ ადამიანებისადმი, რომლებმაც მძიმე წუთებში თანადგომა გაგიწიეს. საკუთარ პრინციპებს ნუ უღალატებთ. **სასწორი** – ახალი ნაცნობობა კეთილისმყოფელი იქნება. რისკის არ შეგეშინდეთ. **ღრიანკალი** – იფრთხილეთ, არავინ მოგატყუთ. პროფესიული საქმიანობა დიდ ენერგიას დაგახარჯვინებთ. **მშვილდოსანი** – პლანეტები გმფარველობენ. განსაკუთრებით წარმატებულია დღის პირველი ნახევარი. **თხის რქა** – გიმართლებთ სასიყვარულო ურთიერთობებში, კარიერაში. ახალი საქმის დასაწყებად შეუფერებელი დღეა. **მერწყული** – ცრუ დაპირებებს არ ენდოთ. სხვის პრობლემებს გულგრილად ნუ მოეკიდებით. შეძლებისდაგვარად დაეხმარეთ გარშემომყოფებს. **თევზები** – დაძაბული სამუშაო დღეა, თუმცა მდიდარი ფანტაზიისა და წარმოსახვის წყალობით ნებისმიერ საქმეს თავს იოლად გაართმევთ.

გისუხვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ჯიპით მიმავალმა გოგონებმა გზის პირას მჯდომი მზესუმზირის გამყიდველი მოხუცი ქალის გაშაყირება გადაწყვიტეს. მანქანა გააჩერეს და ერთ-ერთი ქალს ეკითხება:

– ბებო, ვისკი გააქვს?
– კი, ნენა.
– რომელი ვისკი გაქვს ბებო?
– შენ რომელი გინდა ნენა?
– ჩივას რივალი გააქვს?
– კი, ნენა.
– ჯეკ დენიელსი?
– კი, ნენა.
– ბებო, გვეკაიფები?
– მე დევიწყე, ნენა?

●●●

მიხოს თბილისელები ჰყავს სტუმრად. გაუშლის სუფრას. ერთი სტუმარი დალევს ღვინოს და ამბობს:

– ჩემი დედა... მაგარი ღვინოა!

მეორემ დალია და:

– ჩემი დედა... ძაან მაგარი ღვინოა.

ამ დროს მიხომ დალია და ეუბნებათ:

– მე დედა არ მყავს და თქვენი დედები... ძაან მაგარი ღვინოა!

●●●

მიხო და მიტო მიხოს მარანში ქეიფობენ. მიხო ეკითხება:

– ჯო, მართალია, რო ამბობენ, დედამიწა ბრუნავსო?

– ჰო, მართლა ბრუნავს.

– არა მგონია მართალი იყოს...

– რათა მიხო?

– რათა და იმიტომ რომა, რომ ბრუნავდეს, ერთხელ შენ მარანში როგორ ვერ მოვხვდებოდით?!

●●●

შვილი მამას ეუბნება:

– მამი, ფისო მიყიდე რა.

– ფისო რად გინდა შვილო, სახლში კატა გვყავს.

– მატყუებ, სად გვყავს კატა?

– რატომ გატყუებ შვილო, მართლა გვყავს.

– კარგი რა მამი, აბა სადაა?

– სადაა და ამაღამ კნავილს რომ დავაწყებინებ, მაშინ ხომ დაიჯერებ!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

„სუხიშვილებმა“ დაგეგმილი კონცერტი გააუქმეს

ანსამბლმა „სუხიშვილებმა“ 25 აგვისტოს დაგეგმილი კონცერტი გააუქმეს. ამის მიზეზი შატილის გზაზე მომხდარი ტრაგედიაა:

– შატილის გზაზე მომხდარმა ავტოკატასტროფამ ყველანი შეგვძრა. გულწრფელად ვუსამძიმრებთ დაღუპულთა ოჯახებსა და ახლობლებს. 25 აგვისტოს ოფიციალურ გლოვის დღედ გამოცხადების გამო კონცერტი „არტეფაქტები“ არ ჩატარდება, – ნათქვამია ანსამბლის ოფიციალურ განცხადებაში.

გიორგი უშიკიშვილი: „მომავალ თაობას ვკარგავთ!“

ასე მიაჩნია მომღერალ გიორგი უშიკიშვილს და თერჯოლაში 11 წლის ბიჭის თვითმკვლელობას ეხმაურება:

– საერთოდ რაზე ვსაუბრობთ? და რაზე ვმსჯელობთ? ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც 11 წლის ბავშვი თავს იკლავს. ამაზე დიდი რა უნდა მოხდეს, რომ გამოვფხიზლდეთ და ქვეყანას ვუშველოთ? მომავალ თაობას ვკარგავთ! მე ძალიან არ მინდა ასეთ ქვეყანაში ცხოვრება. მინდა, რომ ყველას ბავშვი ძალიან ბედნიერი იყოს!

გია დანელია 90 წლის გახდებოდა

ქართველი კინორეჟისორი, „სევდიანი კომედიების“ ავტორი გია დანელია 90 წლის გახდებოდა.

განსაკუთრებული ხელწერის მქონე რეჟისორის მამა, ნიკოლოზ დანელია, ინჟინერი იყო, დედა, მერი ანჯაფარიძე – კინორეჟისორი. ცნობილი მსახიობი ვერიკო ანჯაფარიძე გიორგი დანელიას დეიდა იყო, სოფიკო ჭიაურელი – დეიდაშვილი.

გიორგი დანელია მოსკოვის არქიტექტურულ ინსტიტუტში სწავლობდა და ერთი პერიოდი არქიტექტორად მუშაობდა. მას სამი მეუღლე ჰყავდა. პირველი ცოლი ლიუბოვ სოკოლოვა იყო. მასთან რეჟისორს ვაჟი, ნიკოლაი, ჰყავდა, მეორე მეუღლესთან ირინა გინზბურგთან გოგონა, სვეტლანა, ეყოლა. მესამე მეუღლესთან, გალინა იურკოვასთან, შვილი არ ჰყავდა, მაგრამ მის ვაჟს, კირილს, გია დანელია შვილად მიიჩნევდა.

როგორც გალინა იურკოვა ამბობდა, ცნობილი კინორეჟისორი სახლში ძალიან ჩუმი, გულჩათხრობილი ადამიანი იყო. გიორგი დანელია სიტყვაუხვობით არც ჟურნალისტებთან გამირჩეოდა, მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ფრაზა მისი ფილმებიდან ხალხში ფრთიან გამოთქმად გავრცელდა.

დანელიას ყველაზე ცნობილი ფილმებია „მიმინო“, „შემოდგომის მარათონი“ და „ქინ-ძა-ძა“. თავად საუკეთესო ნამუშევრად „არ იდარდო“ მიაჩნდა.

კინორეჟისორი, რომელიც საკუთარ შემოქმედებას „ნაღვლიან კომედიებს“ უწოდებდა, გარდა იმისა, რომ კარგად ხატავდა, ყველა ინსტრუმენტზე უკრავდა. ხშირად ეკითხებოდნენ, თვითონ რატომ არ წერდა მუსიკას? პასუხი ერთი იყო: ნოტები არ ვიციო!

გიორგი დანელია 88 წლის ასაკში გარდაიცვალა.

იუბილარი კოლეგა **ელდარ შენგელაია**მ გაიხსენა:

– დიდ გია დანელიას 90 წელი შეუსრულდებოდა... ყოველ წელს ამ დღეს აუცილებლად ვურეკავდი და ვულოცავდი, ისიც არასდროს მივიწყებდა და სულ მირეკავდა. ძალიან ყურადღებიანი და უსაზღვროდ საყვარელი ადამიანი იყო! მენატრები, გია, ჩემო ძვირფასო მეგობარო!

თავად რეჟისორი კი სულ აღნიშნავდა, რომ მისი საყვარელი ქალაქი თბილისი იყო, თუმცა მთელი ცხოვრება მოსკოვში ჰქონდა გატარებული:

– ჩემი საყვარელი ქალაქი თბილისია, თუმცა აგერ უკვე ოთხმოც წელზე მეტია, მოსკოვის ქუჩებში დავაბიჯებ და მას ჩემი ერთ-ერთი ადრინდელი ფილმიც მივუძღვენი. თბილისში ყოფნა ძალიან მიყვარს. იქ ნათესავებთან ჩავდივარ სტუმრად, მაგრამ ჩემი სახლი ყოველთვის მოსკოვში იყო. როცა თბილისზე ვფიქრობ, გული სითბოთი მევსება, კეთილი და თბილი ადამიანები მაგონდებიან, რომლებიც სიყვარულის პლანეტაზე ცხოვრებას იმსახურებენ.

„დიდი სცენის“ გამარჯვებული ლევან ყანდიაშვილი გახდა

მუსიკალური შოუს „დიდი სცენის“ მეორე სეზონის გამარჯვებული ლევან ყანდიაშვილი გახდა. მან კონკურსის მთავარ პრიზთან ერთად, თბილისში ბინაც მოიგო.

„დიდი სცენის“ ფინალში გამარჯვებისთვის იბრძოდნენ ლევან ყანდიაშვილი, გიორგი ფუტკარაძე და მემე ჟორდანია.

მაყურებლისა და ჟიურის ერთობლივი ქულებისა და ხმების დაჯამებით პირველი ადგილი ლევანმა დაიკავა, მეორე ადგილზე გიორგი გავიდა, მესამე ადგილი კი მემე ჟორდანიას ერგო.

ლევანს მთავარი პრიზი – ბინა – თბილისში ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა გადასცა, მიჰაუსმა

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 2. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი; 3. ხულიგნის, ქურდის, ბანდიტის საერთო სახელწოდება ძველად საფრანგეთში; 5. ებრაელთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 6. რაიმე საქმის წინასწარ განზრახვით დაზიანება, ჩაშლა; 9. ქართველი ექიმი, დაავადებათა კონტროლის ცენტრის დირექტორი; 10. გერმანული ავიაკომპანია; 11. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული სამეფო; 14. ავსტრალიური სირაქლემა; 16. კრემისგულიანი ნამცხვარი; 18. ფრანგი მეზღაპრე.

თარაზულად: 1. სათბურში გამოყვანილი ნერგი; 4. ცოცხალი ორგანიზმის რეაქცია გარეგან გამღიზიანებლებზე; 7. ქართველი მოგზაური, გინესის რეკორდსმენი; 8. ცეკვის ძველი ქართული სახელწოდება; 12. ბრაზილიელი მწერალი; 13. მეტროს სადგური თბილისში; 15. საგაზეთო პუბლიკაცია; 17. ტერიტორიული ერთეული თურქეთში; 19. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 20. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 21. სამურაბე ლამბაქი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა